



NATIONAL CENTER FOR  
EDUCATIONAL QUALITY  
ENHANCEMENT

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის  
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

1. გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა,  
პირველი საფეხური
2. გრაფიკული დიზაინის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო  
პროგრამა, პირველი საფეხური

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი  
25 მარტი 2026  
დასკვნის წარდგენის თარიღი  
21 მაისი 2026

თბილისი

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

|                                                                             |                          |
|-----------------------------------------------------------------------------|--------------------------|
| დაწესებულების სახელწოდება<br>ორგანიზაციულ-სამართლებრივი<br>ფორმის მითითებით | საქართველოს უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო<br>კოდი                                       | 205037137                |
| დაწესებულების ტიპი                                                          | უნივერსიტეტი             |

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

|                                                         |                                                                                                   |
|---------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი,<br>უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | კოსტას მანტზალოსი, ფრედერიკის<br>უნივერსიტეტი, კვიპროსი                                           |
| წევრი (სახელი, გვარი,<br>უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)       | გიორგი ნიკურაძე (დარგის ექსპერტი),<br>შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების<br>უნივერსიტეტი (BTU)        |
| წევრი (სახელი, გვარი,<br>უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)       | თამარ ძველაია (დარგის ექსპერტი), სსიპ<br>- ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო<br>სასწავლო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი,<br>უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)       | თამთა ლეკიშვილი, შპს აღმოსავლეთ<br>ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო;                              |
| წევრი (სახელი, გვარი,<br>უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)       | გიორგი მერაბიშვილი (სტუდენტი<br>ექსპერტი), შპს შავი ზღვის<br>საერთაშორისო უნივერსიტეტი            |

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

|                                                                                                                                                           | პროგრამა 1                                              | პროგრამა 2                                              |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------|---------------------------------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულად                                                                                                            | „გრაფიკული დიზაინი“                                     | "გრაფიკული დიზაინის“ (ინგლისურენოვანი)                  |
| უმაღლესი განათლების საფეხური                                                                                                                              | ბაკალავრიატი                                            | ბაკალავრიატი                                            |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია                                                                                                                                 | ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში                  | ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში                  |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი                                                                                                                        | 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება | 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>1</sup>                                                   |                                                         |                                                         |
| სწავლების ენა                                                                                                                                             | ქართული                                                 | ინგლისური                                               |
| ECTS კრედიტების რაოდენობა                                                                                                                                 | 180                                                     | 180                                                     |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | ახალი                                                   | ახალი                                                   |

<sup>1</sup>(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამები ახლად შემუშავებულია და განეკუთვნება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს. პროგრამების განხორციელება, ძირითადად დაეკისრება ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლას, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის ზედამხედველობასა და მართვაზე, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად. მართალია, პროგრამაზე პირველადი პასუხისმგებლობა ერთ სკოლას ეკისრება, თუმცა მისი ტექნოლოგიური ხარისხი უზრუნველყოფილია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლასთან მჭიდრო თანამშრომლობით. პროგრამები შექმნილია გრაფიკული დიზაინერების მოსამზადებლად, რომლებიც ფლობენ ძლიერ თეორიულ საფუძვლებსა და აუცილებელ პრაქტიკულ უნარებს, რაც მათ საშუალებას მისცემს იყვნენ კონკურენტუნარიანები მოთხოვნად პროფესიულ გარემოში. აღნიშნული კლასტერის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამები მჭიდროდ არის შესაბამისობაში როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და პასუხობს ინდუსტრიის მიმდინარე გამოწვევებს. პროგრამები შემუშავებულია დარგის თანამედროვე სტანდარტებისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ინგლისურენოვანი ვერსია იმეორებს ქართულენოვანი პროგრამის სტრუქტურას, იგი სპეციალურად მორგებულია საერთაშორისო ბაზრის მოლოდინებზე და მოიცავს შესაბამის, გლობალურ ორიენტაციაზე დაფუძნებულ სასწავლო კომპონენტებს.

### აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ადგილზე ვიზიტი 2026 წლის 25 მარტს განხორციელდა და დაიწყო მენეჯმენტთან შეხვედრით, რასაც მოჰყვა შეხვედრები თვითშეფასების ანგარიშის (SER) მომზადებაზე პასუხისმგებელ გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ვიზიტი გაგრძელდა ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან შეხვედრებით. ექსპერტთა ჯგუფს ასევე შესაძლებლობა მიეცა დაეთვალიერებინა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, მათ შორის სტუდიები, აუდიტორიები, აუდიტორიები, IT სერვისები და ბიბლიოთეკა.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ გრაფიკული დიზაინის ორივე ახალ პროგრამას ძლიერი მხარდაჭერა აქვს როგორც მენეჯმენტის, ასევე მოწვეული პერსონალის მხრიდან. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჯგუფი განსაკუთრებით მოტივირებული და ენთუზიაზმით გამორჩეული იყო. შეინიშნება სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს

ხარისხის უზრუნველყოფას და კრეატიული ინდუსტრიისთვის პროფესიონალების მომზადებას. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის გუნდი კოორდინირებულია სკოლებსა და დეპარტამენტებთან, რაც ქმნის მყარ საფუძველს ხარისხის სტანდარტების თანმიმდევრული უზრუნველყოფისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც შეაფასა როგორც კარგად განვითარებული.

ორივე პროგრამა, მნიშვნელოვნად ეყრდნობა პროცესზე ორიენტირებულ ფილოსოფიას; ისინი სტუდენტებს სთავაზობს პერსპექტიულ და მრავალფეროვან სასწავლო გეგმას, რომელიც ასახავს შემოქმედებითი ინდუსტრიის თანამედროვე მოთხოვნებს. ისინი აერთიანებს თემატიკის ფართო სპექტრს და უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის მყარ საფუძველს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე პრაქტიკებში. პროგრამების მულტიდისციპლინურ მიდგომას ძლიერი პოტენციალი აქვს, რომ კურსდამთავრებულებს განუვითაროს მრავალმხრივი უნარები, თუმცა ამ პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებისთვის საჭირო იქნება სათანადო სტრუქტურირება და უწყვეტი შეფასება.

**საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

### **კლასტერული რეკომენდაციები**

2.2. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააფართოოს პარტნიორი ორგანიზაციების ქსელი და პარტნიორებთან გაფორმებულ მემორანდუმებსა/შეთანხმებებში ნათლად განსაზღვროს სტუდენტთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა, აქტივობების ტიპები, განხორციელების ვადები, მხარეთა პასუხისმგებლობები, აგრეთვე პრაქტიკული კომპონენტის კავშირი სასწავლო კურსებთან, პროფესიულ განვითარებასა და პროგრამის სწავლის შედეგებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბალანსი სტუდენტთა რეალურ ნაკადსა და პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობებს შორის, პრაქტიკული კომპონენტის პროგნოზირებადობა და სტანდარტით გათვალისწინებული პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარება.

4.4. რეკომენდებულია, კომპიუტერული ლაბორატორიების ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის რეგულარული განახლება თანამედროვე ინდუსტრიული მოთხოვნების შესაბამისად; გრაფიკული დიზაინის სტუდიების სივრცითი და ფუნქციური გაფართოება; ბეჭდვისა და პროტოტიპირების სივრცეების

დამატებითი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით; ფოტოსტუდიისა და მულტიმედიური ლაბორატორიის შესაძლებლობების შემდგომი განვითარება; ბიბლიოთეკისა და ელექტრონული რესურსების, განსაკუთრებით დიზაინის სფეროში, თანამედროვე ციფრული პლატფორმებისა და მონაცემთა ბაზების მუდმივი განახლება.

#### **“გრაფიკული დიზაინის“ ინგლისურენოვანი პროგრამა**

4.1. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ეტაპობრივად გაზარდოს აკადემიური პერსონალის წილი გრაფიკული დიზაინის ინგლისურენოვან პროგრამაში, რათა უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, ხარისხის მართვის პროცესების ეფექტიანობა და ინსტიტუციური განვითარების თანმიმდევრულობა.

#### **▪ რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

2.1 სასურველია, უნივერსიტეტმა კიდევ უფრო სისტემური გახადოს პროგრამაზე დაშვების კონკრეტული მოთხოვნების საჯარო პრეზენტაცია, მათ შორის შემოქმედებითი ტურის პროცედურებისა და ენობრივი კომპეტენციების მითითებით, რათა ინფორმაცია მეტად ცხადი და ხელმისაწვდომი იყოს პოტენციური აპლიკანტებისთვის.

2.3 სასურველია, სასწავლო გეგმის განვითარებაში, დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაღრმავება, რათა პროგრამა კიდევ უფრო მეტად იყოს ორიენტირებული შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნებზე.

4.1. სასურველია, მოწვეული პერსონალის სისტემური და აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის დაგეგმვისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, სწავლების ერთიანი სტანდარტისა და პროგრამის თანმიმდევრული განვითარების მისაღწევად.

4.3. სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელებმა იზრუნონ მოწვეული პერსონალის კომფორტულ გარემოში ადაპტაციაზე. უზრუნველყონ მათთვის არა მხოლოდ სასწავლო პროცესში მონაწილეობა, არამედ მხარდაჭერა სამეცნიერო საქმიანობასა და შემოქმედებით პრაქტიკაში. სასურველია, რომ ჩართონ ისინი რესპუბლიკურ და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შემოქმედებით აქტივობებში. წახალისონ მათი სამეცნიერო საქმიანობა, რაც დამატებითი მოტივაცია იქნება მოქმედი პერსონალისთვის და ახალი კადრების მოზიდვისას.

4.3. სასურველია, შეფასების მექანიზმების შემდგომი განვითარება, მათ შორის დამსაქმებელთა უკუკავშირის უფრო აქტიური ინტეგრაცია, კურსდამთავრებულთა შეფასებების სისტემატიზაცია და შეფასების შედეგების ანალიზის ინსტიტუციონალიზაცია, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობას.

4.4. სასურველია, პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, არსებული დაფინანსების მექანიზმების დახვეწა და გაფართოება — განსაკუთრებული აქცენტით მაღალი რეიტინგის საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების წახალისებაზე, აგრეთვე გარე საგრანტო რესურსების მოზიდვის მხარდაჭერაზე.

5.1. სასურველია, აღნიშნული პროცესის შემდგომი გაძლიერებისთვის პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალის ცნობიერების ამაღლება შეფასების ციფრული მეთოდოლოგიის შესახებ, რათა არსებული მტკიცებულებები უფრო ეფექტიანად და თანმიმდევრულად იქნეს გამოყენებული პროგრამის განვითარებაში.

- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

**პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და/ან დოქტორანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

- გრაფიკული დიზაინის ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 40 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი.

„გრაფიკული დიზაინის“ პროგრამის აკადემიური პერსონალის სტრუქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს მოწვეულ პერსონალს, რომლის რაოდენობა აღემატება სრულ განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის რაოდენობას. აღნიშნული განაწილება, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პროგრამაში თანამედროვე პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების ჩართულობას, რაც დადებით გავლენას ახდენს სტუდენტთა პროფესიულ განვითარებასა და დარგის მიმდინარე მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

**პროგრამა 1 — „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი)**

| პროგრამაში<br>ჩართული<br>პერსონალის<br>რაოდენობა<br>(მათ შორის<br>აკადემიური,<br>სამეცნიერო და<br>მოწვეული<br>პერსონალი) | პროგრამის<br>პერსონალის<br>რაოდენობა | მათ შორის<br>დარგობრივი<br>ექსპერტიზის<br>მქონე<br>პერსონალი <sup>2</sup> | მათ შორის<br>დარგობრივი<br>მიმართულებით<br>დოქტორის<br>ხარისხის მქონე<br>პერსონალი <sup>3</sup> | მათ შორის,<br>აფილირებული<br>აკადემიური<br>პერსონალი |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------|---------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------|
| პერსონალის<br>საერთო<br>რაოდენობა                                                                                        | 18                                   | 5                                                                         | 4                                                                                               | 18                                                   |
| - პროფესორი                                                                                                              | 9                                    | 2                                                                         | 2                                                                                               | 9                                                    |
| -<br>ასოცირებული<br>პროფესორი                                                                                            | 8                                    | 2                                                                         | 2                                                                                               | 8                                                    |
| - ასისტენტ-<br>პროფესორი                                                                                                 | 0                                    | 0                                                                         | 0                                                                                               | 0                                                    |
| - ასისტენტი 0                                                                                                            | 1                                    | 1                                                                         | 0                                                                                               | 1                                                    |
| მოწვეული<br>პერსონალი                                                                                                    | 22                                   | 15                                                                        | 3                                                                                               | 0                                                    |
| სამეცნიერო<br>პერსონალი                                                                                                  | 18                                   | 5                                                                         | 4                                                                                               | 0                                                    |

- გრაფიკული დიზაინის ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 23 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი.

„გრაფიკული დიზაინის“ პროგრამის აკადემიური პერსონალის სტრუქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს მოწვეულ პერსონალს, რომლის რაოდენობა აღემატება სრულ განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის რაოდენობას. აღნიშნული განაწილება, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პროგრამაში თანამედროვე

<sup>2</sup> პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო სფეროს შესაბამის კომპონენტებს

<sup>3</sup> შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების ჩართულობას, რაც დადებით გავლენას ახდენს სტუდენტთა პროფესიულ განვითარებასა და დარგის მიმდინარე მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

| <b>პროგრამა 2 — „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)</b>                         |                                       |                                                                     |                                                                                        |                                                    |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------|---------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------|
| <b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)</b> | <b>პროგრამის პერსონალის რაოდენობა</b> | <b>მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალი<sup>4</sup></b> | <b>მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი<sup>5</sup></b> | <b>მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი</b> |
| <b>პერსონალის საერთო რაოდენობა</b>                                                                      | 5                                     | 3                                                                   | 2                                                                                      | 5                                                  |
| <b>- პროფესორი</b>                                                                                      | 0                                     | 0                                                                   | 0                                                                                      | 0                                                  |
| <b>- ასოცირებული პროფესორი</b>                                                                          | 4                                     | 2                                                                   | 2                                                                                      | 4                                                  |
| <b>- ასისტენტ-პროფესორი</b>                                                                             | 0                                     | 0                                                                   | 0                                                                                      | 0                                                  |
| <b>- ასისტენტი 0</b>                                                                                    | 1                                     | 1                                                                   | 0                                                                                      | 1                                                  |
| <b>მოწვეული პერსონალი</b>                                                                               | 18                                    | 14                                                                  | 3                                                                                      | 0                                                  |
| <b>სამეცნიერო პერსონალი</b>                                                                             | 4                                     | 3                                                                   | 2                                                                                      | 0                                                  |

- **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული

<sup>4</sup> პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო სფეროს შესაბამის კომპონენტებს

<sup>5</sup> შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები;<sup>6</sup> ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

არსებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ საქართველოს უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია აქტიური ინსტიტუციური კვლევითი გარემო; თუმცა, გრაფიკული დიზაინის პროგრამებთან დაკავშირებული სამეცნიერო პროდუქტიულობის, რეცენზირებად გამოცემებში პუბლიკაციებისა და კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემები შეზღუდულია. შესაბამისად, აღნიშნულ სფეროში კვლევითი მაჩვენებლების შეფასება ძირითადად ეფუძნება ინსტიტუციურ კვლევით რეიტინგებსა და აკადემიური ხილვადობის მაჩვენებლებს და არა კონკრეტულად ამ დისციპლინის პუბლიკაციურ მეტრიკებს.

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);
- ორივე პროგრამა ახალია, შესაბამისად ეს მაჩვენებელი არ ეხება.
- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით.
- ორივე პროგრამა ახალია, შესაბამისად ეს მაჩვენებელი არ ეხება.
- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

#### ▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>7</sup>

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

#### რეკომენდაცია #1 კლასტერი

---

<sup>6</sup>სადოქტორო პროგრამის კლასტერში დაჯგუფების შემთხვევაში, მიეთითება განცალკევებული ანალიზის სახით.

<sup>7</sup>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

რეკომენდაცია 2.2-თან დაკავშირებით - საქართველოს უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას, შესაბამისად რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

## **რეკომენდაცია #2 კლასტერი**

რეკომენდაცია 2.3 კომპონენტთან დაკავშირებით - საქართველოს უნივერსიტეტი არ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ პროგრამის პრაქტიკული ხასიათის და ისეთი სასწავლო კურსების არსებობის გამო, როგორიცაა ვიზუალური ბრენდინგი, პორტფოლიოს შექმნის ტექნიკები, სავალდებულო პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი გრაფიკულ დიზაინში, პროგრამა ორგანულად მოიცავს მნიშვნელოვან პრაქტიკულ კომპონენტს. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს აღნიშნულ პოზიციას, შესაბამისად რეკომენდაცია ამოღებულია.

## **რეკომენდაცია #3 კლასტერი**

რეკომენდაცია 3.1 კომპონენტთან დაკავშირებით - საქართველოს უნივერსიტეტი არ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შინაარსობრივად ავსებს 2.2 კომპონენტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციას და შესაძლებელია მათი ერთიან რეკომენდაციად ფორმულირება. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს აღნიშნულ პოზიციას, შესაბამისად რეკომენდაცია ამოღებულია.

## **რეკომენდაცია #4 კლასტერი**

რეკომენდაცია 4.4 კომპონენტთან დაკავშირებით - საქართველოს უნივერსიტეტი არ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას და აცხადებს, რომ ყველა საჭირო ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა უზრუნველყოფილია. ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს აღნიშნულ პოზიციას, ვინაიდან ვიზიტის დროს ინფრასტრუქტურის უმეტესი ნაწილი სამშენებლო/სარემონტო პროცესში იყო, შესაბამისად ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია უცვლელი უნდა დარჩეს.

**რეკომენდაცია #5 გრაფიკული დიზაინი (ინგლისურენოვანი პროგრამა)**  
რეკომენდაცია 4.1 კომპონენტთან დაკავშირებით - საქართველოს უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას, შესაბამისად რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შეფასებისას გამოიყენება სადოქტორო საფეხურის [განათლების ჩარჩოთი](#) დადგენილი მოთხოვნები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების [აკრედიტაციის სტანდარტებთან ერთად](#).

[სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები \(იხილეთ ბმული\)](#)

[უმაღლესი განათლების პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები](#)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო](#)

[სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო](#)

[აკრედიტაციის სტანდარტებისა და სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩოს შესაბამისობა](#)

[შეფასების კრიტერიუმები](#)

#### **განმარტებები:**

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები** -არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### **აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:**

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომის გამოყენებით: კლასტერული და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური შეფასება.

#### **შეფასების მიდგომები:**

კლასტერული შეფასება აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან, კლასტერის ზოგადი მახასიათებლების გათვალისწინებით.

**ინდივიდუალური შეფასება:** საჭიროებისამებრ, ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლისაგან. პროგრამის ინდივიდუალური შეფასება აუცილებელია დოქტორანტურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის,

ასევე ნებისმიერი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელზეც გაცემულია რეკომენდაცია და/ან რჩევა.

### III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| №   | შინაარსი/<br>სტანდარტი                                                                         | "გრაფიკული დიზაინის"<br>ქართულენოვანი პროგრამა | "გრაფიკული დიზაინის"<br>ინგლისურენოვანი პროგრამა |
|-----|------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------|--------------------------------------------------|
| 1.  | საგანმანათლებლო პროგრამის<br>მიზნები, სწავლის შედეგები და<br>მათი შესაბამისობა<br>პროგრამასთან | შესაბამისობაშია                                | შესაბამისობაშია                                  |
| 1.1 | <a href="#">პროგრამის მიზნები</a>                                                              | შესაბამისობაშია                                | შესაბამისობაშია                                  |
| 1.2 | <a href="#">პროგრამის სწავლის შედეგები</a>                                                     | შესაბამისობაშია                                | შესაბამისობაშია                                  |
| 1.3 | <a href="#">პროგრამის სწავლის შედეგების<br/>შეფასების მექანიზმი</a>                            | შესაბამისობაშია                                | შესაბამისობაშია                                  |
| 1.4 | <a href="#">საგანმანათლებლო პროგრამის<br/>სტრუქტურა და შინაარსი</a>                            | შესაბამისობაშია                                | შესაბამისობაშია                                  |
| 1.5 | <a href="#">სასწავლო კურსი/საგანი</a>                                                          | შესაბამისობაშია                                | შესაბამისობაშია                                  |
| 2.  | სწავლების მეთოდოლოგია და<br>ორგანიზება, პროგრამის<br>ათვისების შეფასების<br>ადეკვატურობა       | შესაბამისობაშია                                | შესაბამისობაშია                                  |
| 2.1 | <a href="#">პროგრამაზე დაშვების<br/>წინაპირობები</a>                                           | შესაბამისობაშია                                | შესაბამისობაშია                                  |
| 2.2 | <a href="#">პრაქტიკული, სამეცნიერო<br/>/კვლევითი /შემოქმედებითი<br/>/საშემსრულებლო და</a>      | მეტწილად შესაბამისობაშია                       | მეტწილად შესაბამისობაშია                         |

|     |                                                                                      |                          |                                 |
|-----|--------------------------------------------------------------------------------------|--------------------------|---------------------------------|
|     | <a href="#">ტრანსფერული უნარების განვითარება</a>                                     |                          |                                 |
| 2,3 | <a href="#">სწავლება-სწავლის მეთოდები</a>                                            | შესაბამისობაშია          | შესაბამისობაშია                 |
| 2.4 | <a href="#">სტუდენტის შეფასება</a>                                                   | შესაბამისობაშია          | შესაბამისობაშია                 |
| 3.  | <b>სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა</b>                           | <b>შესაბამისობაშია</b>   | <b>შესაბამისობაშია</b>          |
| 3,1 | <a href="#">სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები</a>                     | შესაბამისობაშია          | შესაბამისობაშია                 |
| 3.2 | <a href="#">მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</a>                           | მონიშნეთ შესაბამისი      | მონიშნეთ შესაბამისი             |
| 4   | <b>სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</b>                                             | <b>შესაბამისობაშია</b>   | <b>მეტწილად შესაბამისობაშია</b> |
| 4.1 | <a href="#">ადამიანური რესურსები</a>                                                 | შესაბამისობაშია          | მეტწილად შესაბამისობაშია        |
| 4.2 | <a href="#">მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელების კვალიფიკაცია</a>        | შესაბამისობაშია          | შესაბამისობაშია                 |
| 4.3 | <a href="#">აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</a> | შესაბამისობაშია          | შესაბამისობაშია                 |
| 4.4 | <a href="#">მატერიალური რესურსი</a>                                                  | მეტწილად შესაბამისობაშია | მეტწილად შესაბამისობაშია        |

|     |                                                                                      |                 |                 |
|-----|--------------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|
| 4,5 | <a href="#">პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</a> | შესაბამისობაშია | შესაბამისობაშია |
| 5   | <b>5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</b>                             | შესაბამისობაშია | შესაბამისობაშია |
| 5,1 | <a href="#">შიდა ხარისხის შეფასება</a>                                               | შესაბამისობაშია | შესაბამისობაშია |
| 5,2 | <a href="#">გარე ხარისხის შეფასება</a>                                               | შესაბამისობაშია | შესაბამისობაშია |
| 5.3 | <a href="#">პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა</a>                         | შესაბამისობაშია | შესაბამისობაშია |

#### IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

##### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის სწავლის შედეგები რეგულარულად ფასდება პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

##### 1.1 პროგრამის მიზნები

###### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

###### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით;
- სახელოვნებო - შემოქმედებითი სფეროს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს საშემსრულებლო და/ან შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია საერთაშორისო დონის ორიგინალური პროექტის შექმნა თანმხლები კვლევითი კომპონენტით, რომელშიც ნათლად ჩანს დოქტორანტის თვითმყოფადი შემოქმედებითი ხედვა, მაღალი დარგობრივი კომპეტენციები და შემოქმედებითი კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნა;
- სადოქტორო პროგრამის მიზანია კვლევითი უნარების გაღრმავების გზით ხელი შეუწყოს დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და

სამეცნიერო საქმიანობისთვის, ასევე, საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობას;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის საქმიანობის განხორციელების სტრატეგიას.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერული შეფასება

#### კლასტერის აღწერა და ანალიზი

გრაფიკული დიზაინი აღიარებულია, როგორც სპეციალიზებული სფერო კომუნიკაციის დიზაინის ფართო დარგის ფარგლებში, რომელიც ეხება ვიზუალური კონცეფციების შემუშავებასა და განხორციელებას, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და შემოქმედებითი მეთოდოლოგიების გამოყენებით. დარგი მოიცავს მრავალფეროვან პროფესიულ პრაქტიკას, მათ შორის გარე რეკლამას, შეფუთვის დიზაინს, პოსტერების შექმნას, ვებ და ინტერფეისის დიზაინს, ბეჭდურ სარეკლამო მასალებს, ბრენდინგსა და ილუსტრაციას. მისი ძირითადი ფუნქციაა შეტყობინებების გადაცემა ვიზუალურად სტრუქტურირებული და ესთეტიკურად მიმზიდველი ფორმების მეშვეობით, ამასთანავე აუდიტორიის ემოციურ და ფსიქოლოგიურ რეაქციებზე ზემოქმედება. მხატვრული შემოქმედების, ტექნიკური ექსპერტიზისა და თეორიული ცოდნის გაერთიანებით, გრაფიკული დიზაინი ფუნქციონირებს როგორც შემოქმედებითი და სტრატეგიული დისციპლინა, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტიან კომუნიკაციას სხვადასხვა სექტორში.

შეფასების თვალსაზრისით, საგანმანათლებლო პროგრამის დეკლარირებული მიზანი არის მკაფიო, თანმიმდევრული და მიღწევადი. ის სათანადოდ განსაზღვრავს მოსალოდნელ სწავლის შედეგებს, მათ შორის პროფესიული ცოდნის, პრაქტიკული კომპეტენციების, შემოქმედებითი აზროვნებისა და ეთიკური პასუხისმგებლობის განვითარებას. პროგრამა ასევე განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობის არეალს და აღწერს დარგის ძირითად მახასიათებლებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის როგორც კონცეპტუალური ჩარჩოების, ისე პრაქტიკული უნარების დაბალანსებულ გააზრებას. ამგვარი სიცხადე ხელს უწყობს კარგად სტრუქტურირებული სასწავლო გეგმის შემუშავებას, შეფასების სათანადო სტრატეგიების განსაზღვრასა და გაზომვადი სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას, რაც უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი კომპონენტებია.

გარდა ამისა, პროგრამის მიზნები, როგორც ჩანს, კარგად არის თანხვედრაში საქართველოს უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებთან. სასწავლო გეგმა ასახავს ინსტიტუციურ პრიორიტეტებს, როგორიცაა აკადემიური ხარისხი, ინოვაცია, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირება. გათვალისწინებულია საქართველოში კვალიფიციურ გრაფიკულ დიზაინერებზე მზარდი მოთხოვნა, რაც განპირობებულია კრეატიული ინდუსტრიების, ციფრული პლატფორმების, რეკლამისა და ბრენდინგის განვითარებით. აღნიშნული მოთხოვნა მხარდაჭერილია ინსტიტუციური კვლევებით, რომლებიც აანალიზებს დასაქმების ტენდენციებსა და დამსაქმებელთა მოლოდინებს, რაც მიუთითებს, რომ პროგრამა შექმნილია კურსდამთავრებულების სათანადო და თანამედროვე უნარებით აღჭურვის მიზნით. ამგვარად, პროგრამა ავლენს მკაფიო პრაქტიკულ ღირებულებას და ხელს უწყობს ეროვნული მასშტაბით სამუშაო ძალის განვითარებას.

დაბოლოს, პროგრამის მიზნები შეესაბამება ბაკალავრიატის დონის კვალიფიკაციის მოთხოვნებს. სასწავლო გეგმა სტრუქტურირებულია იმგვარად რომ უზრუნველყოს საბაზისო თეორიული ცოდნა, არსებითი ტექნიკური უნარები და საწყისი პროფესიული გამოცდილება, რომელიც შეესაბამება საბაკალავრო განათლების დონეს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ძირითად კომპეტენციებს, როგორიცაა დიზაინის პრინციპები, ვიზუალური კომუნიკაცია, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება და კრიტიკული აზროვნება. აღნიშნული მიდგომა კურსდამთავრებულებს ამზადებს როგორც საწყისი საფეხურის დასაქმებისთვის, ისე შემდგომი აკადემიური პროგრესისთვის. საერთო ჯამში, საბაკალავრო სტანდარტებთან შესაბამისობა უზრუნველყოფს როგორც აკადემიურ სიღრმეს, ისე პროგრამის შესაბამისობას უმაღლესი განათლების საწყის საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის.

**ინდივიდუალური შეფასება** - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა .

**აღწერა და ანალიზი** -პროგრამა 1 (გრაფიკული დიზაინი, (ქართულენოვანი) (საბაკალავრო პროგრამა)<sup>8</sup>

---

<sup>8</sup> აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კონკრეტული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

იგივე რაც ზემოთ აღინიშნა.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინი, (ინგლისურენოვანი) (საბაკალავრო პროგრამა)<sup>9</sup>

იგივე რაც ზემოთ აღინიშნა.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ადგილზე ვიზიტი, მათ შორის ინტერვიუები სტუდენტებთან, პერსონალთან და დამსაქმებლებთან.
- კითხვა-პასუხის რეჟიმში გამართული შეხვედრები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (e-learning და სხვა)
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- მსგავსი პროგრამების ანალიზი

---

გთხოვთ, გაიმეოროთ აღწერილობისა და ანალიზის ველი პროგრამების რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელი, საფეხური), პროგრამა 3 (სახელი, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

<sup>9</sup> აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კონკრეტული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

გთხოვთ, გაიმეოროთ აღწერილობისა და ანალიზის ველი პროგრამების რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელი, საფეხური), პროგრამა 3 (სახელი, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

|                                                 |                           |                   |
|-------------------------------------------------|---------------------------|-------------------|
| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: | <u>რეკომენდაცია(ები):</u> | <u>რჩევ(ები):</u> |
| კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები         |                           |                   |
| პროგრამა 1 გრაფიკული დიზაინი, ქართულენოვანი     |                           |                   |
| პროგრამა 2 გრაფიკული დიზაინი, ინგლისურენოვანი   |                           |                   |

### შეფასება<sup>10</sup>

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი<br><u>1.1 - პროგრამის მიზნები</u>  | შეფასება        |
|-----------------------------------------------|-----------------|
| პროგრამა 1 გრაფიკული დიზაინი, ქართულენოვანი   | შესაბამისობაშია |
| პროგრამა 2 გრაფიკული დიზაინი, ინგლისურენოვანი | შესაბამისობაშია |
|                                               |                 |

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

#### აკრედიტაციის სტანდარტების მაჩვენებლები

<sup>10</sup>შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

---

### სადოქტორო პროგრამის მაჩვენებლები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 საფეხურის კლასიფიკატორს;
  - სადოქტორო ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის შედეგებს ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე აქვთ სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებით-კვლევითი მნიშვნელობა, ისინი არის ინოვაციური და აქვთ პრაქტიკული/თეორიული ღირებულება.
- 

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერული შეფასება

#### კლასტერის აღწერა და ანალიზი

გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები სათანადო თანხვედრაშია პროგრამის დეკლარირებულ მიზნებთან და შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის დონეს. მიზნები მკაფიოდ განსაზღვრავს ცოდნის ბაზას, პრაქტიკულ უნარებს, ავტონომიურობის ხარისხსა და იმ პასუხისმგებლობის განცდას, რომლებიც კურსდამთავრებულებმა უნდა შეიძინონ. აღნიშნული თანმიმდევრულობა ქმნის მყარ კავშირს პროგრამის კონცეპტუალურ დიზაინს, სასწავლო გეგმას, სწავლების მიდგომებსა და შეფასების პრაქტიკებს შორის, რაც არსებითი მნიშვნელობისაა ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

პროგრამა ავლენს თეორიული და პრაქტიკული განათლების დაბალანსებულ მიდგომას. იგი ეფექტიანად აერთიანებს ციფრული ტექნოლოგიების, ვიზუალური კომუნიკაციის ინსტრუმენტებისა და თანამედროვე დიზაინის პროგრამული უზრუნველყოფის შესწავლას ისეთ ფუნდამენტურ დისციპლინებთან, როგორიცაა ხელოვნების ისტორია, დიზაინის თეორია და ვიზუალური კულტურა. ეს ინტეგრირებული მოდელი უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ როგორც კრიტიკული გააზრების, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებას. ამასთანავე, პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გამოცდილებაზე დაფუძნებულ

სწავლებას, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, სტუდიური აქტივობების, შემოქმედებითი დავალებებისა და პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სავარჯიშოების მეშვეობით, პრაქტიკაში გადაიტანონ თეორიული ცოდნა. ეს ხელს უწყობს პროფესიული აზროვნების განვითარებასა და იდეების აზრიან ვიზუალურ პროდუქტად გარდაქმნის უნარის ჩამოყალიბებას.

პროგრამის მნიშვნელოვანი ასპექტია მისი აქცენტი შემოქმედებითობასა და დიზაინის კონცეფციების მიზანმიმართულ განვითარებაზე. სწავლის შედეგები მიუთითებს, რომ კურსდამთავრებულებს უნდა შეეძლოთ ორიგინალური იდეების გენერირება, შესაბამისი ვიზუალური მიდგომების იდენტიფიცირება და დიზაინთან დაკავშირებული ისეთი გადაწყვეტილებების შეთავაზება, რომლებიც ეფექტიანად პასუხობს კონკრეტულ გზავნილებს, სამიზნე აუდიტორიასა და მედიის კონტექსტს. ეს ასახავს დამოუკიდებელი შემოქმედებითი განსჯისა და ინფორმირებული პროფესიული გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარების მკაფიო მიზანს. გარდა ამისა, სწავლის შედეგები ხაზს უსვამს როგორც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის, ისე თანამშრომლობითი უნარების მნიშვნელობას, რაც სტუდენტებს ამზადებს გუნდურ პროფესიულ გარემოში წარმატებული საქმიანობისთვის.

სწავლის შედეგები დაფუძნებულია ინდუსტრიის თანამედროვე მოლოდინებზე და ასახავს პროფესიული სფეროს რეალობას, რაც ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ისინი ჩამოყალიბებულია გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური ფორმით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიღწევების თანმიმდევრულ შეფასებასა და შეფასების პროცესების გამჭვირვალობას. ამასთანავე, სწავლის შედეგები შესაბამისობაშია კვალიფიკაციის შესაბამის ადმწერებთან, მკაფიოდ განსაზღვრავს კურსდამთავრებულთა შესაძლებლობებს და მხარს უჭერს როგორც დასაქმების, ისე შემდგომი აკადემიური განვითარების შესაძლებლობებს, მათ შორის უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას.

სასწავლო გეგმის სტრუქტურა და სასწავლო კურსების ორგანიზება ავლენს ლოგიკურ და თანმიმდევრულ განვითარებას. თითოეული კომპონენტი ხელს უწყობს კონკრეტული კომპეტენციების განვითარებას, ხოლო კურსების თანმიმდევრობა ასახავს სირთულის, სპეციალიზაციისა და სტუდენტის დამოუკიდებლობის მზარდ დონეებს. ეს ეტაპობრივი და სტრუქტურირებული მიდგომა უზრუნველყოფს საფუძვლიანი ცოდნის ჩამოყალიბებას იქამდე, ვიდრე სტუდენტები უფრო რთულ შემოქმედებით და ტექნიკურ გამოწვევებზე გადავლენ.

შეფასების პროცესში ჩატარებული ინტერვიუების შედეგები ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელობის აქტიურ მონაწილეობას სასწავლო გეგმის განვითარებასა და პროგრამის უწყვეტ დახვეწაში. აღნიშნული ჩართულობა ასახავს ძლიერ აკადემიურ ზედამხედველობას და მიუთითებს, რომ პროგრამა სარგებლობს თანამშრომლობითი

და რეფლექსიური მართვის მიდგომით, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების ხედვებს, დისციპლინის განვითარებასა და აღიარებულ საგანმანათლებლო პრაქტიკებს. ამგვარი ჩართულობა ხელს უწყობს როგორც პროგრამის მდგრადობას, ისე მის უწყვეტ განვითარებას.

გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა ავლენს შესაბამისობის მაღალ ხარისხს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, სასწავლო გეგმის დიზაინისა და სწავლების მეთოდების მიმართულებით. სწავლის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული, შესაბამისობაშია ინდუსტრიის მოლოდინებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს. კარგად სტრუქტურირებულ სასწავლო გეგმასა და პროგრამის ეფექტიან მართვასთან ერთად, აღნიშნული ელემენტები უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ დაგეგმილი კომპეტენციების მიღწევას, რაც მიუთითებს, რომ პროგრამა აკმაყოფილებს ხარისხის სტანდარტებს და ქმნის მყარ საფუძველს როგორც პროფესიული საქმიანობისთვის, ისე სწავლის გაგრძელებისთვის.

**ინდივიდუალური შეფასება** - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა .

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 1 (გრაფიკული დიზაინი, (ქართულენოვანი, საბაკალავრო პროგრამა)<sup>11</sup>

იგივე რაც ზემოთ აღინიშნა.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინი, (ინგლისურენოვანი) (საბაკალავრო პროგრამა)<sup>12</sup>

---

<sup>11</sup> აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კონკრეტული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

გთხოვთ, გაიმეოროთ აღწერილობისა და ანალიზის ველი პროგრამების რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელი, საფეხური), პროგრამა 3 (სახელი, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

<sup>12</sup> აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კონკრეტული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

იგივე რაც ზემოთ აღინიშნა.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ადგილზე ვიზიტი, მათ შორის ინტერვიუები სტუდენტებთან, პერსონალთან და დამსაქმებლებთან.
- კითხვა-პასუხის რეჟიმში გამართული შეხვედრები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (e-learning და სხვა)
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- მსგავსი პროგრამების ანალიზი

| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: | რეკომენდაცია(ები): | რჩევ(ები): |
|-------------------------------------------------|--------------------|------------|
| კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები         |                    |            |
| პროგრამა 1 გრაფიკული დიზაინი, ქართულენოვანი     |                    |            |
| პროგრამა 2 გრაფიკული დიზაინი, ინგლისურენოვანი   |                    |            |

გთხოვთ, გაიმეოროთ აღწერილობისა და ანალიზის ველი პროგრამების რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელი, საფეხური), პროგრამა 3 (სახელი, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

## შეფასება:

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი<br><u>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:</u> | შეფასება:       |
|------------------------------------------------------|-----------------|
| პროგრამა 1 გრაფიკული დიზაინი, ქართულენოვანი          | შესაბამისობაშია |
| პროგრამა 2 გრაფიკული დიზაინი, ინგლისურენოვანი        | შესაბამისობაშია |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი განსაზღვრულია. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

### კლასტერული შეფასება

ექსპერტების მიერ ვიზიტამდე განხილული თვითშეფასების ანგარიშში (SER) წარმოდგენილი დოკუმენტაციის, აგრეთვე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან შეხვედრების პროცესში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ პროგრამაში ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგების შეფასების სტრუქტურირებული და თანმიმდევრულად გამოყენებული სისტემა,

რომელიც მოიცავს სამწლიან საბაკალავრო ციკლს. პროგრამის როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტები ფასდება მკაფიო და გამჭვირვალე პროცედურების საფუძველზე, რომლებიც სათანადოდ არის მორგებული გრაფიკული დიზაინის სფეროს სპეციფიკაზე.

პროგრამა იყენებს ბენჩმარკინგს, როგორც ხარისხის განვითარების ინსტრუმენტს, საკუთარი შედეგების როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე არსებულ მსგავს პროგრამებთან შედარების გზით. თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები. სტუდენტთა მიღწევები იზომება აღნიშნულ ნიშნულებთან მიმართებით. შედეგები რეგულარულად გადაიხედება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსალოდნელ აკადემიურ და პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობა .

არსებობს მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც აკადემიურ პერსონალს ეხმარება სწავლის შედეგების შემუშავებასთან, შეფასებასა და ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული კომპეტენციების გაძლიერებაში. ფაკულტეტის წევრები, მათ შორის როგორც სრული განაკვეთით დასაქმებული, ისე მოწვეული ლექტორები, სათანადოდ არიან ინფორმირებულნი შეფასების პროცედურების შესახებ და აქტიურად მონაწილეობენ მათ განხორციელებაში.

პროგრამის შეფასების ჩარჩო გამყარებულია ხარისხის უზრუნველყოფის ინსტიტუციური სტრუქტურებთან თანამშრომლობით. დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების უკუკავშირი სისტემატურად გროვდება აკადემიური პერსონალისგან, სტუდენტებისგან, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისგან — გამოკითხვებისა და ინტერვიუების მეშვეობით. შეგროვებული მონაცემები ანალიზდება და უზიარდება შესაბამის მხარეებს, რაც ხელს უწყობს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და პროგრამის განვითარებას.

საქართველოს უნივერსიტეტმა ასევე შეიმუშავა სწავლის შედეგების დეტალური რუკა, რომელიც მხარდაჭერილია შეფასების ყოვლისმომცველი ჩარჩოთი და მკაფიოდ განსაზღვრავს თითოეული სასწავლო კომპონენტის წვლილს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევაში. კერძოდ, შეფასების პროცესი ხასიათდება შემდეგი მახასიათებლებით:

- სწავლის შედეგები რეგულარულად ფასდება სტრუქტურირებული და გამჭვირვალე პროცედურების მეშვეობით, რომლებიც შეესაბამება პროგრამის დონესა და დისციპლინის სპეციფიკას;
- გარე დაინტერესებული მხარეები აქტიურად არიან ჩართული სწავლის შედეგების შეფასების პროცესში;
- თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია გაზომვადი ნიშნულები;

- შეფასების შედეგები უწყვეტად კონტროლდება და შედარებულია წინასწარ განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებლებთან;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალი კარგად არის ინფორმირებული შეფასების მეთოდოლოგიების შესახებ და აქტიურად მონაწილეობს პროცესში;
- სწავლის შედეგების შეფასების მიგნებები ეფექტიანად მიეწოდება ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარეს.

**ინდივიდუალური შეფასება** - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა .

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელი და დონე)<sup>13</sup>

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 1 (გრაფიკული დიზაინი, (ქართულენოვანი, საბაკალავრო პროგრამა)<sup>14</sup>

იგივე რაც ზემოთ აღინიშნა.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინი, (ინგლისურენოვანი) (საბაკალავრო პროგრამა)<sup>15</sup>

<sup>13</sup> საჭიროების შემთხვევაში , აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში შემავალი თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის ამ კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

საჭიროების შემთხვევაში, პროგრამების რაოდენობის მიხედვით, გთხოვთ, დაამატოთ სტრიქონების შესაბამისი რაოდენობა ( გთხოვთ, გაითვალისწინოთ მითითების ეს ფორმატი თითოეული კომპონენტის შეფასების შემდეგ ).

<sup>14</sup> აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კონკრეტული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

გთხოვთ, გაიმეოროთ აღწერილობისა და ანალიზის ველი პროგრამების რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელი, საფეხური), პროგრამა 3 (სახელი, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

<sup>15</sup> აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კონკრეტული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

იგივე რაც ზემოთ აღინიშნა.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ადგილზე ვიზიტი, მათ შორის ინტერვიუები სტუდენტებთან, პერსონალთან და დამსაქმებლებთან.
- კითხვა-პასუხის რეჟიმში გამართული შეხვედრები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (e-learning და სხვა)
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- მსგავსი პროგრამების ანალიზი

| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: | რეკომენდაცია(ები): | რჩევ(ები): |
|-------------------------------------------------|--------------------|------------|
| კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები         |                    |            |
| პროგრამა 1 გრაფიკული დიზაინი, ქართულენოვანი     |                    |            |
| პროგრამა 2 გრაფიკული დიზაინი, ინგლისურენოვანი   |                    |            |

გთხოვთ, გაიმეოროთ აღწერილობისა და ანალიზის ველი პროგრამების რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელი, საფეხური), პროგრამა 3 (სახელი, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

|  |  |  |
|--|--|--|
|  |  |  |
|--|--|--|

## შეფასება:

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი<br><u>1.3 პროგრამის სწავლის<br/>შედეგების შეფასების<br/>მექანიზმი</u> | შეფასება:       |
|----------------------------------------------------------------------------------|-----------------|
| პროგრამა 1 გრაფიკული<br>დიზაინი, ქართულენოვანი                                   | შესაბამისობაშია |
| პროგრამა 2 გრაფიკული<br>დიზაინი, ინგლისურენოვანი                                 | შესაბამისობაშია |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

### აკრედიტაციის სტანდარტების მაჩვენებლები

➤ პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

➤ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

### სადოქტორო პროგრამის მაჩვენებლები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი პოტენციალი, შესაბამისი მიმართულებით წინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების არსებობა, წარმატებული პრაქტიკა და კვლევის შედეგები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს უსდ - ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას, დარგობრივი, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობის/პროფესიული ქსელის ჩამოყალიბებას;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სწავლის სფეროს თავისებურებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მეცნიერების/სფეროს, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების, ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ ან/და სხვა სახის განვითარებას
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი განაპირობებს მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას, რომელიც საკვლევი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს სამეცნიერო დარგებს შორის ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტებისთვის ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა, მაგალითად: კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის გზით ტექნოლოგიურ ტრანსფერში ჩართულობა, ლიდერობა, ხელმძღვანელობა, კარიერის განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), პოპულარულ სამეცნიერო ენაზე აზრის გადმოცემა და სხვა;
- უსდ - ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ეფექტურად კომპონენტის განხორციელებისათვის შემუშავებული აქვს: საკვლევი თემის შერჩევის, შეცვლის, სამეცნიეროკვლევის განხორციელების და წარდგენის მექანიზმი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის სფეროს/სფეროების შესაბამისად და დოქტორანტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის შესრულებას სათანადო დონეზე აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების დაცვის გათვალისწინებით;
- დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმა, ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისად საქმიანობის

წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას;

- უსდ - ში მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში მოქმედ კვლევის ეთიკის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერული შეფასება

#### კლასტერის აღწერა და ანალიზი

გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა სრულად შეესაბამება უმაღლესი განათლების ეროვნულ მოთხოვნებსა და საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებს და მოიცავს ჯამურად **180 ECTS კრედიტს**, რაც შეესაბამება სამწლიან საბაკალავრო პროგრამაზე გათვალისწინებულ სტანდარტულ დატვირთვას. სტუდენტები ყოველ აკადემიურ წელს აგროვებენ **60 ECTS კრედიტს**, ხოლო ყოველ სემესტრში — **30 კრედიტს**, რაც უზრუნველყოფს სასწავლო დატვირთვის დაბალანსებულ განაწილებას სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა გადააჭარბონ სტანდარტულ წლიურ დატვირთვას დამატებით **15 კრედიტით**, რაც უზრუნველყოფს მოქნილობას დაჩქარებული პროგრესის, აკადემიური მობილობის ან ინდივიდუალური სასწავლო ტრაექტორიების შემთხვევაში.

კრედიტების განაწილება მიუთითებს სასწავლო გეგმის დაბალანსებულ სტრუქტურაზე, სადაც ძირითადი კომპონენტი უზრუნველყოფს ფუნდამენტური დისციპლინური ცოდნისა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას, ხოლო არჩევითი კომპონენტი ხელს უწყობს ინტერდისციპლინურ ჩართულობას, სტუდენტის არჩევანსა და ტრანსფერული უნარების განვითარებას. აღნიშნული სტრუქტურა ასახავს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას და უზრუნველყოფს მოქნილ სასწავლო ტრაექტორიებს.

პროგრამის მოცულობა და სირთულე შეესაბამება საბაკალავრო დონეს და შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. სასწავლო გეგმა შემუშავებულია პროგრამის დიზაინის ინსტიტუციური რეგულაციების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სისტემურ, გამჭვირვალე და ხარისხზე ორიენტირებულ მიდგომას. სასწავლო კურსები ლოგიკურად არის დალაგებული, რაც უზრუნველყოფს

კომპეტენციების თანმიმდევრულ განვითარებას საბაზისო დონიდან უფრო რთულ დონეებამდე.

პროგრამა სრულად შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების კანონმდებლობას და ECTS მოთხოვნებს, რაც ხელს უწყობს აკადემიურ მობილობასა და საერთაშორისო თავსებადობას. სტრუქტურა და შინაარსი მკაფიოდ განსაზღვრავს პროგრამის აკადემიურ ფოკუსსა და დისციპლინურ პროფილს.

ძირითადი დისციპლინის ფარგლებში არსებული კურსები პირდაპირ არის დაკავშირებული დაგეგმილ სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას სასწავლო კომპონენტებსა და მოსალოდნელ კომპეტენციებს შორის. პროგრესის მოთხოვნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და შესაბამისია. სასწავლო გეგმა ავლენს შიდა თანმიმდევრულობასა და პედაგოგიურ ლოგიკას, რაც ქმნის მყარ საფუძველს როგორც დასაქმებისთვის, ისე შემდგომი სწავლისთვის.

მისაღები პროცესი რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით, მათ შორის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების მოთხოვნით. პროგრამისთვის სპეციფიკური დამატებითი მოთხოვნები საჯაროდ ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და თანაბარ ხელმისაწვდომობას. შერჩევის პროცესი მოიცავს პორტფოლიოს წარდგენასა და გასაუბრებას, მკაფიოდ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებისა და მინიმალური ზღვრული მაჩვენებლების მითითებით.

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების შედეგები ადასტურებს, რომ პროგრამის განვითარებაში გათვალისწინებულია დამსაქმებელთა უკუკავშირი და შრომის ბაზრის ანალიზი. აკადემიური პერსონალი ავლენს მაღალი დონის ჩართულობას სასწავლო გეგმის შემუშავებაში, რაც მიუთითებს ძლიერ ინსტიტუციურ ვალდებულებაზე და ხელს უწყობს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ინფორმაცია სასწავლო გეგმის სტრუქტურის, მიღების პროცედურების, სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების შესახებ მკაფიოდ არის წარმოდგენილი ოფიციალური არხების მეშვეობით.

საერთო ჯამში, პროგრამა ავლენს თანმიმდევრულ სტრუქტურას, სწავლის შედეგებთან შესაბამისობას, მარეგულირებელ და ECTS სტანდარტებთან თავსებადობას და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირებას. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სპეციალიზაციისა და მოქნილობის ბალანსს, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაბამის კომპეტენციებს როგორც საბაკალავრო განათლების, ისე პროფესიული პრაქტიკისთვის.

ინდივიდუალური შეფასება — **აღწერა და ანალიზი — პროგრამა 1** (გრაფიკული დიზაინი ქართულენოვანი, საბაკალავრო)

პროგრამა ისეა აგებული, რომ კრედიტების განაწილება უზრუნველყოფს საკმარის დროს სწავლებისთვის, შეფასებისთვის, დამოუკიდებელი სწავლისა და აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებისთვის. ECTS სისტემის შესაბამისად, **ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს სტუდენტის დატვირთვისა**, რაც მოიცავს საკონტაქტო საათებს, დამოუკიდებელ მუშაობას, დავალებების მომზადებას, პროექტულ სამუშაოს და შუალედური და საბოლოო შეფასებებისთვის გამოყოფილ დროს. განსაზღვრული დატვირთვის პარამეტრები ადასტურებს საერთაშორისო კრედიტების გამოთვლის პრინციპებთან შესაბამისობას და მიუთითებს, რომ პროგრამა უზრუნველყოფს რეალისტურ და მიღწევად სასწავლო დატვირთვისას.

სასწავლო გეგმა ლოგიკურად იყოფა **ძირითად დისციპლინურ კომპონენტებად და დამოუკიდებელ/არჩევით კომპონენტებად**, რაც უზრუნველყოფს როგორც სპეციალიზაციას, ისე აკადემიურ მოქნილობას.

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ოთხ ბლოკს: ჰუმანიტარულ-სოციალური, STEM, პროგრამის ძირითად და პროგრამის არჩევით ბლოკებს. გრაფიკული დიზაინის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი, რაც განაწილებულია შემდეგნაირად:

-ჰუმანიტარულ-სოციალური ბლოკი — 6 ECTS

- STEM ბლოკი — 6 ECTS

-პროგრამის ძირითადი კურსები — 150 ECTS

-პროგრამის არჩევითი კურსები — 18 ECTS

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინი, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)

პროგრამა ისეა აგებული, რომ კრედიტების განაწილება უზრუნველყოფს საკმარის დროს სწავლებისთვის, შეფასებისთვის, დამოუკიდებელი სწავლისა და აკადემიური

მხარდაჭერის აქტივობებისთვის. ECTS სისტემის შესაბამისად, **ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს სტუდენტის დატვირთვისა**, რაც მოიცავს საკონტაქტო საათებს, დამოუკიდებელ მუშაობას, დავალებების მომზადებას, პროექტულ სამუშაოს და შუალედური და საბოლოო შეფასებებისთვის გამოყოფილ დროს. განსაზღვრული დატვირთვის პარამეტრები ადასტურებს საერთაშორისო კრედიტების გამოთვლის პრინციპებთან შესაბამისობას და მიუთითებს, რომ პროგრამა უზრუნველყოფს რეალისტურ და მიღწევად სასწავლო დატვირთვისას.

სასწავლო გეგმა ლოგიკურად იყოფა **ძირითად დისციპლინურ კომპონენტებად** და **დამოუკიდებელ/არჩევით კომპონენტებად**, რაც უზრუნველყოფს როგორც სპეციალიზაციას, ისე აკადემიურ მოქნილობას.

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ოთხ ბლოკს: ჰუმანიტარულ-სოციალური, STEM, პროგრამის ძირითად და პროგრამის არჩევით ბლოკებს. გრაფიკული დიზაინის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი, რაც განაწილებულია შემდეგნაირად:

-პროგრამის ძირითადი კურსები — 138 ECTS

-პროგრამის არჩევითი კურსები — 18 ECTS

-თავისუფალი კრედიტები – 24 ECTS

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ადგილზე ვიზიტი, მათ შორის ინტერვიუები სტუდენტებთან, პერსონალთან და დამსაქმებლებთან.
- კითხვა-პასუხის რეჟიმში გამართული შეხვედრები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (e-learning და სხვა)

- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- მსგავსი პროგრამების ანალიზი

| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: | რეკომენდაცია(ები): | რჩევ(ები): |
|-------------------------------------------------|--------------------|------------|
| კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები         |                    |            |
| პროგრამა 1 გრაფიკული დიზაინი, ქართულენოვანი     |                    |            |
| პროგრამა 2 გრაფიკული დიზაინი, ინგლისურენოვანი   |                    |            |

#### შეფასება:

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი<br><u>1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</u> | შეფასება:       |
|---------------------------------------------------------------------------|-----------------|
| პროგრამა 1 გრაფიკული დიზაინი, ქართულენოვანი                               | შესაბამისობაშია |
| პროგრამა 2 გრაფიკული დიზაინი, ინგლისურენოვანი                             | შესაბამისობაშია |

#### 1.5. სასწავლო კურსი/საგანი

##### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.  
სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

---

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### **კლასტერის შეფასება**

#### **აღწერა და ანალიზი**

ვიზიტამდე მოწოდებული თვითშეფასების ანგარიშის შესწავლისა და პროგრამის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების ფარგლებში მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით იკვეთება, რომ გრაფიკული დიზაინის სამწლიანი საბაკალავრო პროგრამა სათანადოდ არის სტრუქტურირებული სასწავლო კურსების შინაარსისა და კრედიტების განაწილების თვალსაზრისით, რათა უზრუნველყოს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. სასწავლო კურსების სილაბუსები ნათლად არის ჩამოყალიბებული და სტრუქტურირებულად აღწერს სწავლება-სწავლის მეთოდებს. ისინი ასევე მოიცავს შესაბამის სასწავლო რესურსებს, როგორცაა ბიბლიოგრაფიული მასალები, IT მხარდაჭერა და დამატებითი სასწავლო ინსტრუმენტები. ბოლონის პროცესთან შესაბამისობა დამატებით ადასტურებს პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის თანხვედრას.

პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, რომლებიც თანაბრად ნაწილდება სამ აკადემიურ წელზე (წლიურად 60 ECTS კრედიტი). კრედიტების განაწილება ასახავს როგორც საკონტაქტო საათებს, ისე სასწავლო კურსის წარმატებით დასრულებისთვის საჭირო დამოუკიდებელ სამუშაო დატვირთვას, სადაც ერთი ECTS კრედიტი შეესაბამება სტუდენტის მიერ შესრულებულ დაახლოებით 25-30 საათიან სამუშაოს.

პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან, რომლებიც ჩაშლილია ცალკეული სასწავლო კურსების დონეზე. კერძოდ, ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის დონეზე განსაზღვრულ მოლოდინებთან ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის თვალსაზრისით. თითოეული სასწავლო კურსი უშუალოდ უწყობს ხელს პროგრამის საერთო სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო მისი სპეციფიური სწავლის შედეგები ფასდება ნათლად განსაზღვრული კრიტერიუმებისა და შეფასების მეთოდების საშუალებით. შეფასების აღნიშნული მექანიზმები, მათ შორის რუბრიკები და შეფასების კომპონენტები, დეტალურად არის აღწერილი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სასწავლო გეგმა ასახავს დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციებსა და ტექნოლოგიებს. სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო მასალები რელევანტურია, თანამედროვეა და შეესაბამება დარგში არსებულ უახლეს მიღწევებს, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტები მიიღებენ ფუნდამენტურ ცოდნას და გაეცნობიან უახლეს კვლევებს.

სასწავლო კურსების სახელწოდებები და შინაარსი შესაბამისობაშია ერთმანეთთან, ხოლო კურსების სახელწოდებები ზუსტად ასახავს თითოეული დისციპლინის მოცულობასა და თემატიკას. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება მის მიზნებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის თანმიმდევრულობასა და სიცხადეს.

ECTS კრედიტების განაწილება სასწავლო კურსის სირთულისა და დატვირთვის პროპორციულია. სასწავლო კურსებს, რომლებიც მოითხოვს მნიშვნელოვან დამოუკიდებელ მუშაობას, კვლევით საქმიანობასა და უწყვეტ შეფასებას, მინიჭებული აქვს უფრო მეტი დატვირთვა კრედიტებში, ხოლო ნაკლებად ინტენსიურ კურსებს კი ნაკლები. მსგავსი პროპორციულობა ხელს უწყობს სამართლიანობის, თანმიმდევრულობისა და საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, ამასთან ერთად კი ქმნის პროგრამის კარგად ორგანიზებულ და აკადემიურად გამართულ სტრუქტურას.

გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს მრავალფეროვან სასწავლო კურსებს, რომლებიც მიზნად ისახავს ძირითადი კომპეტენციების განვითარებას ვიზუალური კომუნიკაციის მიმართულებით, ამავდროულად კი სტუდენტებს მონათესავე დისციპლინებსაც აცნობს. ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტები დამატებით უწყობს ხელს სტუდენტების ფართო უნარების განვითარებას, მათ შორის კრიტიკული აზროვნებისა და ეფექტური კომუნიკაციის მიმართულებით.

სასწავლო კურსების უმრავლესობა მოიცავს ნათლად განსაზღვრულ წინაპირობებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ლოგიკურ თანმიმდევრულობას. სასწავლო კურსების პროგრესია სემესტრების მიხედვით, სირთულისა და სპეციალიზაციის მზარდ დონეებს ასახავს. კურიკულუმი მოიცავს სფეროს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ასპექტებს და ითვალისწინებს ინტერდისციპლინურ პერსპექტივას, რაც კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს, განივითარონ მრავალმხრივი უნარები, რომლებიც გამოყენებადია სხვადასხვა პროფესიულ კონტექსტში.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ( გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი)

ვრცელდება ზემოთ აღწერილი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ( გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

ვრცელდება ზემოთ აღწერილი

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ვიზიტის პროცესი, მათ შორის გასაუბრებები სტუდენტებთან, პერსონალთან და დამსაქმებლებთან;
- შეხვედრები კითხვა-პასუხის ფორმატში რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელ გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (e-learning და სხვ.).
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი.
- მსგავს პროგრამებთან შედარებითი ანალიზი.

|                                                 |                 |            |
|-------------------------------------------------|-----------------|------------|
| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: | რეკომენდაციები: | რჩევ(ებ)ი: |
| კლასტერის ზოგადი რჩევები:                       |                 |            |

|                                                                        |  |  |
|------------------------------------------------------------------------|--|--|
| პროგრამა 1 (გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი))   |  |  |
| პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)) |  |  |

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი <a href="#">1.5. სასწავლო კურსი/საგანი</a>                               | შეფასება        |
|-------------------------------------------------------------------------------------|-----------------|
| პროგრამა 1 პროგრამა 1 (გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი))     | შესაბამისობაშია |
| პროგრამა 2 - პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)) | შესაბამისობაშია |

## 2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

## 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროა, მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, ინფორმაციას ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების და დოქტორანტების მიერ კვლევის განხორციელებისათვის მხარდამჭერი და წახალისების მექანიზმების და სხვა ასპექტების შესახებ;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება კანდიდატების გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასება, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისას მხედველობაში მიიღება ასევე უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო საქმიანობის სტრატეგია;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია დოქტორანტთა მიღება კომისიური წესით;
- უსდ-ში განსაზღვრულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას - ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი კომისიას უსდ-ში დადგენილი წესის შესაბამისად, წარუდგენს კვლევის/შემოქმედებითი კვლევის თეზისს/პროექტს. კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დროს დგინდება უცხო ენის ფლობის დონე, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამაზე პირის მიერ ინგლისური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნას არანაკლებ B1 დონეზე;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხდება უსდ-ში არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის გათვალისწინებით. ასევე, უსდ-ს მიერ მხედველობაში მიიღება პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგები.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერის შეფასება

#### აღწერა და ანალიზი

კლასტერი მოიცავს გრაფიკული დიზაინის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ორ ახალ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელთაგანაც ერთი ქართულ, ხოლო მეორე კი ინგლისურ ენაზე. თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ დაშვების წინაპირობები და პროცედურები, ზოგადად, ასახავს პროგრამების სპეციფიკას და ლოგიკურ კავშირშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და სწავლების ენასთან. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ინფორმაცია დაშვების წინაპირობების შესახებ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის, საინფორმაციო ბროშურებისა და ღია კარის დღის/საორიენტაციო შეხვედრების საშუალებით, რაც ხელს უწყობს დაშვების პროცესის გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას.

გრაფიკული დიზაინის ქართულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პროცედურების საფუძველზე, ხოლო აპლიკანტებს დამატებით მოეთხოვებათ შემოქმედებითი ტურის გავლა, რომელიც მოიცავს კონკრეტულ თემაზე ნამუშევრისა და პორტფოლიოს წარდგენას. აღნიშნული დამატებითი მოთხოვნა შესაბამისობაშია პროგრამის შემოქმედებით და სახელოვნებო პროფილთან და ხელს უწყობს ისეთი აპლიკანტების მიღებას, რომლებიც ფლობენ შესაბამის საწყის კომპეტენციებს.

გრაფიკული დიზაინის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების ჩარჩო უფრო ფართოა და ასევე ითვალისწინებს საერთაშორისო აპლიკანტებსაც. შემოქმედებითი ტურის გარდა, პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დადასტურება, საერთაშორისო დონეზე აღიარებული სერტიფიკატის ან უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული გამოცდის საშუალებით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოთხოვნა ლოგიკურ კავშირშია პროგრამის სწავლების ენასა და სასწავლო პროცესთან.

საერთო ჯამში, დაშვების წინაპირობები რელევანტურია, საჯაროდაა ხელმისაწვდომი და შეესაბამება პროგრამების მოთხოვნებს. შემოქმედებითი ტურის მოთხოვნა ორივე პროგრამისთვის მიზანშეწონილია, ხოლო ინგლისურენოვან პროგრამაზე დამატებით განსაზღვრული ინგლისური ენის მოთხოვნა დამატებით მექანიზმს წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტურად მისაღწევად. ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ 2.1 კომპონენტი ასევე მოითხოვს სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის არსებობასა და გამოყენებას, რომელიც დაკავშირებული იქნება პროგრამის სპეციფიკასა და ინსტიტუციურ რესურსებთან. აღნიშნული საკითხი ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი თანდართულ დოკუმენტაციასა და ვიზიტის პროცესშიც, რათა სრულად დადასტურდეს კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი).

გრაფიკული დიზაინის ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება 2.1 კომპონენტის მოთხოვნებს. დაშვების ჩარჩო ეფუძნება ეროვნულ კანონმდებლობას და დამატებით მოიცავს შემოქმედებით ტურს, რაც შესაბამისობაშია პროგრამის სახელოვნებო პროფილთან. დაშვების წინაპირობები, ზოგადად, შეესაბამება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ამასთანავე, სრული შესაბამისობის დადასტურება დამოკიდებულია მკაფიო მტკიცებულებების არსებობაზე იმის შესახებ, რომ სტუდენტთა მისაღები

რაოდენობა განისაზღვრება პროგრამის რესურსებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2: გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი).

გრაფიკული დიზაინის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არსებითად შეესაბამება 2.1 კომპონენტის მოთხოვნებს. პროგრამას გააჩნია მისი პროფილისა და სწავლების ენის შესაბამისი დაშვების ჩარჩო, რომელიც მოიცავს როგორც შემოქმედებით ტურს, ისე ინგლისური ენის B2 დონის კომპეტენციას. აღნიშნული მოთხოვნები შეესაბამება პროგრამის სასწავლო პროცესსა და სწავლის შედეგებს. ქართულენოვანი პროგრამის მსგავსად, სრული შესაბამისობის დადასტურება საჭიროებს მკაფიო მტკიცებულებების წარმოდგენას სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, რომელიც შესაბამისობაში იქნება პროგრამის რესურსებსა და განხორციელების შესაძლებლობებთან.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები
- შემოქმედებითი ტურის კრიტერიუმები
- ვებ-გვერდი და ინფორმაციის დისემინაციის სხვა არხები
- ადგილზე ვიზიტის შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები

|                                                 |                 |                                                                                                   |
|-------------------------------------------------|-----------------|---------------------------------------------------------------------------------------------------|
| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: | რეკომენდაციები: | რჩევ(ებ)ი:                                                                                        |
| კლასტერის ზოგადი რჩევები:                       |                 | სასურველია, უნივერსიტეტმა კიდევ უფრო სისტემური გახადოს პროგრამაზე დაშვების კონკრეტული მოთხოვნების |

|                                                                        |  |                                                                                                                                                                                      |
|------------------------------------------------------------------------|--|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                                                        |  | საჯარო პრეზენტაცია, მათ შორის შემოქმედებითი ტურის პროცედურებისა და ენობრივი კომპეტენციების მითითებით, რათა ინფორმაცია მეტად ცხადი და ხელმისაწვდომი იყოს პოტენციური აპლიკანტებისთვის. |
| პროგრამა 1 (გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი))   |  |                                                                                                                                                                                      |
| პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)) |  |                                                                                                                                                                                      |

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი<br><u>2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</u>                          | შეფასება        |
|-------------------------------------------------------------------------------------|-----------------|
| პროგრამა 1 პროგრამა 1 (გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი))     | შესაბამისობაშია |
| პროგრამა 2 - პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)) | შესაბამისობაშია |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

---

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

---

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

#### კლასტერის შეფასება

##### აღწერა და ანალიზი

კლასტერი აერთიანებს გრაფიკული დიზაინის ორ ახალ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, რომელთაგან ერთი ქართულ ენაზე ხორციელდება, ხოლო მეორე კი ინგლისურ ენაზე. თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე, პროგრამებში იკვეთება სტუდენტების პრაქტიკული, შემოქმედებითი, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მზაობა, პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისად. თვითშეფასების ანგარიში ყურადღებას ამახვილებს პროგრამების პრაქტიკულ ორიენტაციაზე, საბაკალავრო ნაშრომის როლზე, როგორც კვლევასთან დაკავშირებულ საფინანსო კომპონენტზე, სტუდენტების შესაძლო ჩართულობაზე კონფერენციებში, სემინარებში, ადგილობრივ და საერთაშორისო ინიციატივებში, ასევე ისეთი ინსტიტუციური მექანიზმების გამოყენებაზე, როგორიცაა სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის ოფისი და UG StartUp Factory.

დოკუმენტაცია ასევე აჩვენებს, რომ უნივერსიტეტს შექმნილი აქვს პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებისათვის ხელსაყრელი მატერიალური და ტექნოლოგიური გარემო. ორივე პროგრამას აქვს წვდომა UG TV-სა და მედია ცენტრზე, ასევე სპეციალიზებულ კომპიუტერულ ლაბორატორიებსა და დარგისთვის რელევანტურ ლიცენზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე, მათ შორის Adobe Creative Cloud-ზე, Figma-ზე, Runway-სა და Canva-ზე. აღნიშნული რესურსები ქმნის სათანადო საფუძველს დარგობრივი პრაქტიკული კომპეტენციებისა და თანამედროვე ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის, რომელთა შორისაცაა გუნდური

მუშაობა, ციფრული კომუნიკაცია და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული შემოქმედებითი პრობლემების გადაჭრა.

ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით 2.2-კომპონენტთან შესაბამისობა მხოლოდ ნაწილობრივ დასტურდება. თვითშეფასების ანგარიშში კლასტერულ დონეზე წარმოდგენილი ნარატივი ძირითადად ზოგადი ხასიათისაა, ხოლო 2.2 კომპონენტის ფარგლებში ცალკეული პროგრამის ველები შინაარსობრივად სრულყოფილად შევსებული არ არის, რაც ართულებს თითოეულ პროგრამაზე იმის წარმოჩენას, თუ როგორ ხდება პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარება. გარდა ამისა, პროგრამები ახალია, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტთა რეალური მონაწილეობისა და მიღწეული შედეგების შესახებ მტკიცებულებები ამ ეტაპზე შეზღუდულია.

პარტნიორ ორგანიზაციებთან წარმოდგენილი მემორანდუმები ადასტურებს გარე თანამშრომლობის არსებობას, თუმცა ისინი ვერ აჩვენებს კლასტერის დონეზე პრაქტიკული კომპონენტისათვის საკმარისად მყარ და პროგნოზირებად ჩარჩოს. მხოლოდ ერთი მემორანდუმი მიუთითებს პირდაპირ 10 სტუდენტზე, დანარჩენები კი თანამშრომლობას უფრო ზოგადი ფორმულირებებით აღწერენ. მთლიანობაში, შეთანხმებები თანმიმდევრულად და ნათლად არ განსაზღვრავს სტუდენტთა მინიმალურ და მაქსიმალურ რაოდენობას, სტუდენტზე ორიენტირებული აქტივობების ზუსტ ტიპებს, მათ ხანგრძლივობას, განხორციელების გრაფიკს ან მათ პირდაპირ კავშირს სასწავლო კურსებთან, პროფესიული განვითარების მიზნებსა და პროგრამის სწავლის შედეგებთან. ამასთანავე, მემორანდუმების შეწყვეტა შესაძლებელია 30-დღით ადრე წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, რაც პარტნიორი ორგანიზაციების შეზღუდული რაოდენობის პირობებში ქმნის პრაქტიკული კომპონენტის უწყვეტობისა და პროგნოზირებადობის რისკს.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკრედიტაციის სტანდარტის გათვალისწინებით, რომელიც მოითხოვს, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული შეთანხმებები უნდა ასახავდეს სტუდენტთა რაოდენობას, პრაქტიკის მიზანს, შედეგებსა და ხანგრძლივობას და ხელს უნდა უწყობდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, არსებული დოკუმენტური საფუძველი ჯერ კიდევ სრულად ვერ ადასტურებს ასეთ შესაბამისობას 2.2- კომპონენტით მოთხოვნილ დონეზე.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კლასტერში შექმნილია შესაბამისი კონცეპტუალური, სასწავლო გეგმისა და ინფრასტრუქტურული წინაპირობები ორივე პროგრამაში პრაქტიკული, შემოქმედებითი, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის. ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამები ამ თვალსაზრისით ერთსა და იმავე ლოგიკას მიჰყვება, ხოლო ინგლისურენოვანი პროგრამა დამატებით სარგებლობს თავისი საერთაშორისო ორიენტაციითა და ინგლისურენოვანი სასწავლო გარემოთი. მიუხედავად ამისა, პრაქტიკული კომპონენტი საჭიროებს დამატებით გაძლიერებას პარტნიორთა უფრო ფართო და მეტად სტრუქტურირებული ქსელის გაძლიერებითა და უფრო ზუსტი, სწავლის შედეგებზე ორიენტირებული მემორანდუმებისა და შეთანხმებების გაფორმებით, რათა სტუდენტთა რეალური ნაკადი, პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობები და პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნები ნათელ და მდგრადი შესაბამისობაში იყოს ერთმანეთთან.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი).

გრაფიკული დიზაინის ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება 2.2 კომპონენტის მოთხოვნებს. პროგრამა აჩვენებს მკაფიო პრაქტიკულ და შემოქმედებით ორიენტაციას და მხარდაჭერილია შესაბამისი ინფრასტრუქტურული და ტექნოლოგიური რესურსებით. ამასთანავე, პრაქტიკული კომპონენტის ორგანიზებასა და პროგნოზირებადობასთან დაკავშირებული მტკიცებულებათა ბაზა დამატებით გაძლიერებას საჭიროებს, განსაკუთრებით პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მოცულობისა და დეტალიზაციის, ასევე პრაქტიკულ აქტივობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის უფრო ნათლად წარმოჩენის მიმართულებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2: გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი).

გრაფიკული დიზაინის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არსებითად მეტწილად 2.2 კომპონენტის მოთხოვნებს. პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის შესაბამის გარემოსა და დამატებით სარგებელს იღებს თავისი საერთაშორისო ორიენტაციით. თუმცა, ქართულენოვანი პროგრამის მსგავსად, პრაქტიკული კომპონენტის დოკუმენტირება და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სტრუქტურა საჭიროებს დამატებით დაკონკრეტებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგნოზირებადობა, სტუდენტთა სათანადოდ მოცვა და პროგრამის სწავლის შედეგებთან მეტად შესაბამისობა.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები
- სტაჟირების სილაბუსები
- მემორანდუმები/შეთანხმებები პარტნიორ ორგანიზაციებთან
- ადგილზე ვიზიტის შედეგები;

#### გასაუბრების შედეგები

| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: | რეკომენდაციები:                                                                                                                                                                                                                                                                                                                               | რჩევ(ებ)ი: |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|
| კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები         | რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააფართოოს პარტნიორი ორგანიზაციების ქსელი და პარტნიორებთან გაფორმებულ მემორანდუმებსა/შეთანხმებებში ნათლად განსაზღვროს სტუდენტთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა, აქტივობების ტიპები, განხორციელების ვადები, მხარეთა პასუხისმგებლობები, აგრეთვე პრაქტიკული კომპონენტის კავშირი სასწავლო კურსებთან, პროფესიულ |            |

|                                                                        |                                                                                                                                                                                                                                                                                   |  |
|------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--|
|                                                                        | განვითარებასა და პროგრამის სწავლის შედეგებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბალანსი სტუდენტთა რეალურ ნაკადსა და პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობებს შორის, პრაქტიკული კომპონენტის პროგნოზირებადობა და სტანდარტით გათვალისწინებული პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარება. |  |
| პროგრამა 1 ( გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი)   |                                                                                                                                                                                                                                                                                   |  |
| პროგრამა 2 ( გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი) |                                                                                                                                                                                                                                                                                   |  |

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი<br><u>2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</u> | შეფასება                 |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------|
| პროგრამა 1 პროგრამა 1 ( გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი)                                              | მეტწილად შესაბამისობაშია |
| პროგრამა 2 - პროგრამა 2 ( გრაფიკული დიზაინის                                                                                 | მეტწილად შესაბამისობაშია |

|                                           |  |
|-------------------------------------------|--|
| საბაკალავრო პროგრამა<br>(ინგლისურენოვანი) |  |
|-------------------------------------------|--|

### 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

#### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

#### კლასტერის შეფასება

##### აღწერა და ანალიზი

გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული განათლების პრინციპებს და სრულ შესაბამისობაშია როგორც სწავლების საფეხურთან და დარგის სპეციფიკასთან, ისე სასწავლო კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებთან. პროგრამა უზრუნველყოფს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული, შემოქმედებითი უნარების დაბალანსებულ განვითარებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრაფიკული დიზაინის, როგორც პრაქტიკაზე ორიენტირებული დისციპლინისათვის. პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და მოიცავს სტუდენტების აქტიურ ჩართულობაზე დაფუძნებულ მიდგომებს, როგორიცაა პროექტზე დაფუძნებული სწავლება, სტუდიური მუშაობა, პრაქტიკული დავალებები, ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტები, პრეზენტაციები და დისკუსიები. აღნიშნული მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას, ვიზუალური კომუნიკაციის უნარების განვითარებასა და დიზაინის თანამედროვე ინსტრუმენტების ეფექტურ გამოყენებას. სწავლება-სწავლის პროცესი ნათლად არის დაკავშირებული სწავლის შედეგებსა და შეფასების კომპონენტებთან, რაც უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების ობიექტურ და თანმიმდევრულ შეფასებას. სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, განივითარონ როგორც ტექნიკური უნარები (დიზაინის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, კომპოზიცია, ტიპოგრაფია, ფერთა თეორია), ისე ზოგადი კომპეტენციები, როგორიცაა

კრიტიკული და კონცეპტუალური აზროვნება, პრობლემების გადაჭრა და ეფექტური კომუნიკაცია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის რეალურ პროფესიულ გარემოსთან დაახლოებას, თუმცა დამსაქმებელთა უკუკავშირის ანალიზი აჩვენებს, რომ კურსდამთავრებულებს გარკვეულწილად აკლიათ პრაქტიკული გამოცდილება და რეალურ სამუშაო პროცესთან ადაპტაციის უნარები. დამსაქმებლები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ პრაქტიკაზე ორიენტირებული კომპონენტების გაძლიერების საჭიროებაზე, მათ შორის რეალურ პროექტებზე მუშაობასთან, კლიენტთან კომუნიკაციასა და დროის მართვასთან დაკავშირებული აქტივობების გაფართოებაზე.

გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა შეიცავს პრაქტიკულ ელემენტებს, უნდა გაგრძელდეს მათი სიღრმისა და ინტენსივობის გაძლიერება, რათა სტუდენტებმა სრულყოფილად განივითარონ პროფესიული გარემოსათვის აუცილებელი კომპეტენციები და მიაღწიონ უფრო მაღალ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.

სასურველია პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების და გაღრმავების გაგრძელება, მათ შორის ისეთი სასწავლო კურსებისა და აქტივობების დანერგვის ან გაფართოების გზით, როგორიცაა: პროექტზე დაფუძნებული სტუდიური კურსები, რომლებიც მოიცავს რეალურ ან სიმულირებულ კლიენტებთან მუშაობას; პორტფოლიოს განვითარების სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს დასაქმებისთვის მოამზადებს; ბრენდინგის დიზაინის პრაქტიკული პროექტები; სავალდებულო პროფესიული პრაქტიკა/სტაჟირება. ასევე, სასურველია დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაღრმავება კურიკულუმის განვითარების პროცესში, რათა პროგრამა კიდევ უფრო მეტად იყოს ორიენტირებული შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნებზე.

პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას და წახალისოს სტუდენტების აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა საერთაშორისო თანამშრომლობის პრაქტიკულ დონეზე განხორციელების მაგალითები სხვა სახელოვნებო პროგრამებში (მაგალითად, დასახელდნენ „არქიტექტურის“ პროგრამის სტუდენტები, რომელთაც სწავლა განაგრძეს ბარსელონას უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე უნივერსიტეტის სრული ფინანსური მხარდაჭერით). უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები რამდენიმე უცხოურ უნივერსიტეტთან, რაც წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც დასტურდება;

„საერთაშორისო პროექტების მართვის სამსახური“ აქტიურად მუშაობს ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე, ხოლო სტუდენტები მუდმივად იღებენ ინფორმაციას სიახლეების შესახებ.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ( გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი)

ვრცელდება ზემოთ აღწერილი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ( გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

ვრცელდება ზემოთ აღწერილი

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამები
- სილაბუსები (სავალდებულო და არჩევითი საგნები)
- თვითშეფასების ანგარიში

თვითშეფასების ანგარიში

|                                                 |  |                                                                                                                                         |
|-------------------------------------------------|--|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: |  |                                                                                                                                         |
| კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები         |  | სასურველია, სასწავლო გეგმის განვითარებაში, დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაღრმავება, რათა პროგრამა კიდევ უფრო მეტად იყოს ორიენტირებული |

|                                                                        |  |                                      |
|------------------------------------------------------------------------|--|--------------------------------------|
|                                                                        |  | შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნებზე. |
| პროგრამა 1 (გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი))   |  |                                      |
| პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)) |  |                                      |

## შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი<br><u>2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები</u>                    | შეფასება        |
|------------------------------------------------------------------------|-----------------|
| პროგრამა 1 (გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი))   | შესაბამისობაშია |
| პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)) | შესაბამისობაშია |

## 2.4. სტუდენტის შეფასება

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- დოქტორანტების შეფასება ხდება უსდ - ში დადგენილი პროცედურების მიხედვით, რომელიც გამჭვირვალეა, სანდოა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება სასწავლო კომპონენტის შინაარსისა და სადოქტორო საფეხურის

მოთხოვნების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ცოდნისა და უნარების, მათ შორის, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისა და დამოუკიდებლად გამოყენების, აზრის არგუმენტირებულად გადმოცემისა და სხვა უნარების შეფასებას;

- სადოქტორო საგანმანათლებლო დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროგრამა ნამუშევრის, ითვალისწინებს ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე დოქტორანტის დაშვების წინაპირობებს, რომელიც ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებებს;
- დოქტორანტის მიერ დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენამდე დოქტორანტს მოეთხოვება შესაბამის კვლევის სფეროში არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;
- სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხდება დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდული დაკვირვება, განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირის მიცემა;
- სადოქტორო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები, სადოქტორო ნაშრომის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, წინასწარ ცნობილია დოქტორანტებისათვის და გათვალისწინებულია დოქტორანტთა ნაშრომების შეფასებისას;
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასებისას უსდ იყენებს აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმებს;
- სადოქტორო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიური წესით - კომისიის/კომისიების მიერ;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა ან/და დაცვის პროცედურები ითვალისწინებს სადისერტაციო ნაშრომზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწესებულების (ადგილობრივი ან/და უცხოური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ადგილობრივი და საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნებს (საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის შემდეგი სწავლის სფეროებისთვის: ქართული ფილოლოგია, აფხაზური ფილოლოგია, ასევე, იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი), რომელიც აფასებს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო კვლევის/შემოქმედებითი ნაშრომის სიახლეს და მზაობას სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის;

- ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტების შერჩევისა და დანიშვნის მექანიზმები და პროცესები უნდა იყოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა, რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების და კვლევის/საშემსრულებლო კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების მონაწილეობა. დაცვის კომისიის/კომისიების მუშაობაში არ მონაწილეობს დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;
- სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შედიან - შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი;
- სადოქტორო ნაშრომის დაცვა არის საჯარო და ღია; სადოქტორო ნაშრომის აბსტრაქტი/რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია კანდიდატთა პროგრამაზე ჩარიცხვისა და დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრება. გასაჩივრების პროცედურები საჯაროა და უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას;
- უსდ - ს მიერ შემუშავებულია რეცენზენტის მოძიების, დანიშვნისა და მისი საქმიანობის მექანიზმები;
- მიმდინარე სადისერტაციო ნაშრომების თემატიკის შესახებ და დაცული დისერტაციების შესახებ ინფორმაცია უსდ - ს მიერ განთავსებულია ერთიან ელექტრონულ პორტალზე.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერის შეფასება

#### აღწერა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საშუალებით მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ სტუდენტთა შეფასების პრაქტიკა შეესაბამება დადგენილ სახელმძღვანელო პრინციპებს. თითოეულ პროგრამაში წარმოდგენილია შეფასების ჩარჩოს დეტალური მიმოხილვა, ხოლო ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსები აღწერს იმ კონკრეტულ კრიტერიუმებსა და მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხის შესაფასებლად.

უნივერსიტეტი იყენებს სწავლის შედეგების შეფასების ადეკვატურ, გამჭვირვალე და სამართლიან სისტემას, რომელიც შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას და ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მოიცავს მრავალ კომპონენტს და ჩამოყალიბებულია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების შესაბამისად. სტუდენტთა შეფასების პროცესში პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია იხელმძღვანელოს ზემოაღნიშნული წესით.

შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი სქემა:

დადებითი შეფასების ხუთი ტიპი:

(A) ფრიადი - 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

(C) კარგი - 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტი და მიდგომები მორგებულია მის სპეციფიურ ხასიათს, თანხვედრაშია სწავლის შედეგებთან და მიზნად ისახავს შეფასებას, თუ რა დონით იქნა მიღწეული აღნიშნული სწავლის შედეგები შეფასების დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე. საგანმანათლებლო პროცესის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე: (<https://ug.edu.ge/ge/sauniversiteto-debuleba>).

შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ ბაზაში (<https://my.ug.edu.ge/login>), რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. სტუდენტები უკუკავშირის იღებენ როგორც სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, ისე საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

უნივერსიტეტი პლაგიატის გამოსავლენად იყენებს სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფა - „Turnitin“-ს. პლაგიატის შემოწმების წესის თანახმად, პირდაპირი ციტირებები არ უნდა აღემატებოდეს ნაშრომის მთლიანი მოცულობის 15%-ს. ნაშრომში დაუდასტურებელი ტექსტის არსებობა დაუშვებელია. პლაგიატი ან აკადემიური არაკეთილსინდისიერება გამოვლინდება სკოლის ადმინისტრაციის, ლექტორების ან სტუდენტთა ნაშრომების შემოწმებასა და შეფასებაში ჩართული პირების მიერ.

საქართველოს უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია სტუდენტთა უფლებების დაცვის მექანიზმები, მათ შორის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული გასაჩივრების პროცედურები, რომელთა ზედამხედველობასაც საგანმანათლებლო პროცესის

მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოები ახორციელებენ. სტუდენტებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ საკუთარი აკადემიური მოსწრების შეფასება. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ ეთანხმება სწავლის შედეგების შეფასებას, როგორცაა მიმდინარე შეფასებები, შუალედური და ფინალური გამოცდები, ტესტები, თემატური პროექტები ან შეფასების სხვა ფორმები, მას შეუძლია სისტემის მეშვეობით გაასაჩივროს მიღებული შედეგი.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი)

ვრცელდება ზემოთ აღწერილი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2: გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

ვრცელდება ზემოთ აღწერილი

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სილაბუსები;
- Electronic database (<https://my.ug.edu.ge/login>);
- University's web page (<https://ug.edu.ge/ge/sauniversiteto-debuleba>)
- გასაუბრების ინტერვიუების შედეგები

|                                                 |  |  |
|-------------------------------------------------|--|--|
| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: |  |  |
| კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები         |  |  |

|                                                                        |  |  |
|------------------------------------------------------------------------|--|--|
| პროგრამა 1 ( გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი)   |  |  |
| პროგრამა 2 ( გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი) |  |  |

## შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი<br><u>2.4. სტუდენტის შეფასება</u>                                        | შეფასება        |
|-------------------------------------------------------------------------------------|-----------------|
| პროგრამა 1 პროგრამა 1 ( გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი)     | შესაბამისობაშია |
| პროგრამა 2 - პროგრამა 2 ( გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი) | შესაბამისობაშია |

## 3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

## 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

---

#### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან/ცენტრებთან/უსდ - ებთან, სადოქტორო სკოლებთან, ასევე, საჯარო და კერძო სექტორთან/ინდუსტრიასთან და სხვა პოტენციურ დამსაქმებელთან სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და კურსდამთავრებულთა სამუშაო ბაზარზე ინტეგრირებისა და კარიერული წინსვლის მიზნით;
- უსდ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქმნის სათანადო პირობებს და გარემოს საერთაშორისო მობილობის წახალისებისათვის და/ან საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და სხვა სამეცნიერო/შემოქმედებით აქტივობებში მონაწილეობისათვის, რაც მიზნად ისახავს ძლიერი და ინკლუზიური კვლევითი გარემოს განვითარებას და ხელს უწყობს კვლევის საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, კვლევის ინტერნაციონალიზაციას და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას.
- უსდ დოქტორანტებს საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს მხარდაჭერის დამატებით მექანიზმებს კურიკულუმის მიღმა ღონისძიებებისა და აქტივობის სახით, რომელიც მიმართულია დოქტორანტის პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარებისკენ;
- უსდ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული აქვს დოქტორანტების მხარდამჭერი ღონისძიებები, რომელიც საშუალებას აძლევს დოქტორანტს დაასრულოს სადოქტორო ნაშრომი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში;
- უსდ დოქტორანტს საორიენტაციოდ აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის სფეროს სპეციფიკის შესაბამის საერთაშორისო ინდექსის მექანე სამეცნიერო გამოცემების/ბაზების შესახებ. სახელოვნებო სფეროში ასევე, სახელოვნებო შემოქმედებით ღონისძიებების (კონცერტი, ფესტივალი, კონკურსი, მასტერ- კლასი, გამოფენა, ბიენალე და სხვა) თაობაზე;
- უსდ პერიოდულობით ახდენს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მაჩვენებლების ანალიზს,

რომლის შედეგებიც მიმართულია პროგრამის, რესურსებისა და დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმების განვითარებისაკენ;

- უსდ უზრუნველყოფს დოქტორანტების ინფორმირებას მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერის შეფასება

#### აღწერა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია სტუდენტთა მხარდამჭერისა და საკონსულტაციო სერვისების ყოვლისმომცველი სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების დახმარებას აკადემიური დაგეგმვის პროცესში, ასევე მათი აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერული შესაძლებლობებისა და პროფესიული განვითარებისათვის მომზადებას. სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდების პროცესი იწყება სასწავლო წლის პირველ დღეს ჩატარებული საორიენტაციო შეხვედრებით, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებას პირველკურსელ სტუდენტებზე. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში, ფაკულტეტის წარმომადგენლები და შესაბამისი პროგრამების კოორდინატორები წარადგენენ საკუთარ თავს და განიხილავენ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რომლის ცოდნაც სტუდენტებისთვისაა აუცილებელი. გარდა ამისა, პროგრამის პერსონალი და მხარდამჭერი დეპარტამენტების წარმომადგენლები უზრუნველყოფენ სტუდენტების ინფორმირებას უნივერსიტეტში ხელმისაწვდომი სხვადასხვა საკონსულტაციო სერვისის შესახებ.

უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის ინფრასტრუქტურასა და სპეციალურად გამოყოფილ სივრცეებს ექსტრაკურსულარული აქტივობებისათვის. სტუდენტებს აქვთ წვდომა საერთაშორისო მობილობის პროგრამებზე, რომლებიც ფინანსდება ERASMUS+-ის ან ორმხრივი შეთანხმებების ფარგლებში, ხოლო დაწესებულება აქტიურად უწყობს ხელს მათ ჩართულობას სხვადასხვა ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებსა და ინიციატივებში.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი, რომელიც სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ეხმარება კარიერული კონსულტაციების შეთავაზებითა და დასაქმებასა და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული საინფორმაციო ღონისძიებების ორგანიზებით. ყოველწლიურად ცენტრი ატარებს

დასაქმების ფორუმს, რომელიც მიზნად ისახავს პოტენციური დამსაქმებლების მოზიდვასა და მათთან თანამშრომლობის გაძლიერებას. ფორუმის ფარგლებში დამსაქმებლები წარადგენენ არსებულ ვაკანსიებს, ხოლო მათი HR სპეციალისტები ან მენეჯერები სტუდენტებთან გასაუბრებებს ატარებენ. აღნიშნული პლატფორმა სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, წარმოაჩინონ საკუთარი კომპეტენციები პოტენციური დამსაქმებლების წინაშე, რაც ხელს უწყობს მათი კარიერული პერსპექტივების გაუმჯობესებას. ხშირ შემთხვევაში, ორგანიზაციები უნივერსიტეტისთვის სპეციალურად გეგმავენ სტაჟირების პროგრამებს, ხოლო ყველაზე წარმატებულ სტუდენტებს დასაქმებას სთავაზობენ. თუმცადა, გრაფიკული დიზაინის ინგლისურენოვან და ქართულენოვან პროგრამებთან დაკავშირებით უნივერსიტეტსა და პარტნიორ კომპანიებს შორის გაფორმებული მემორანდუმები არ არის წარმოდგენილი.

უნივერსიტეტი ინფორმაციის გავრცელებისთვის იყენებს შემდეგ საშუალებებს: უნივერსიტეტის ვებგვერდებს (<https://ug.edu.ge/>; <https://my.ug.edu.ge/>; <https://online.ug.edu.ge/>), საუნივერსიტეტო ელექტრონულ ფოსტასა და სტუდენტებთან ინდივიდუალურ/ინტერპერსონალურ კომუნიკაციას.

ზემოაღნიშნული სერვისების გარდა, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კონსულტაციების გაწევასა და პროგრამასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტივობაში, რაც დადასტურდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი)

ვრცელდება ზემოთ აღწერილი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2: გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

ვრცელდება ზემოთ აღწერილი

### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის სამუშაო დატვირთვა, ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სამუშაოს აღწერები;
- მემორანდუმები.
- ვებ-გვერდები; (<https://ug.edu.ge/>; <https://my.ug.edu.ge/>; <https://online.ug.edu.ge/>);
- ინტერვიუების შედეგები.

| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:                        | რეკომენდაციები: | რჩევ(ებ)ი: |
|------------------------------------------------------------------------|-----------------|------------|
| კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები                                |                 |            |
| პროგრამა 1 ( გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი)   |                 |            |
| პროგრამა 2 ( გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი) |                 |            |

### შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი <u>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები</u>          | შეფასება        |
|---------------------------------------------------------------------------------|-----------------|
| პროგრამა 1 პროგრამა 1 ( გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი) | შესაბამისობაშია |

|                                                                                    |                 |
|------------------------------------------------------------------------------------|-----------------|
| პროგრამა 2 - პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი) | შესაბამისობაშია |
|------------------------------------------------------------------------------------|-----------------|

### 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

#### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

#### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს დოქტორანტის ხელმძღვანელის /თანახელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, ხელმძღვანელობის /თანახელმძღვანელობის განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტები;
- უსდ - ს შემუშავებული აქვს დოქტორანტს, მის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს და უსდ-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების/შეთანხმების ფორმა, რომელშიც განსაზღვრულია ყველა მხარის უფლება-მოვალეობები; დოქტორანტის ხელმძღვანელობა გათვალისწინებულია შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საერთო საუნივერსიტეტო დატვირთვის სქემაში;
- ხელშეკრულების/შეთანხმების პირობები ხელს უწყობს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და დოქტორანტის მიერ ნაშრომის დადგენილ ვადაში დასრულებას;
- კვლევით პროცესში ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტებთან კვლევის/შემოქმედებითი კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება საკვლევი თემის სპეციფიკას და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ქსელში

ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და სხვა;

- თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- კვლევის სპეციფიკის და საჭიროების გათვალისწინებით, უსდ ხელს უწყობს დოქტორანტის კვლევის/შემოქმედებითი კვლევის პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის, მათ შორის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის სტატუსით; ჩართულობას
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობის დაგეგმვისას, უსდ ითვალისწინებს ხელმძღვანელების დატვირთვას, დოქტორანტთა არსებულ და მისაღებ კონტინგენტს, პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- უსდ შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისა და დოქტორანტთა რაოდენობის თანაფარდობის მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეფექტურად განხორციელებას;
- უსდ - ს მიერ განსაზღვრული თანაფარდობა ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის არ აღემატება - 1:3-ს, ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში. ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნაშრომის წარდგენის მიზნით. აღნიშნული თანაფარდობა შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის შეფასების მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებას;

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

## შეფასება

### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

#### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

#### 4.1. ადამიანური რესურსი

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

#### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 5 შესაბამისი სფეროს აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი. დაწესებულებამ პროგრამის განხორციელებაში, არსებობის შემთხვევაში, ასევე უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 3 წლის

განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით და/ან პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას;

- უსდ ხელს უწყობს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის მონაწილეობას;
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე აქვს სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში და არის დაწესებულების აფილირებული აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერული შეფასება

#### აღწერა და ანალიზი

გრაფიკული დიზაინის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამები ისეთი პერსონალით არის დაკომპლექტებული, რომელსაც წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გააჩნია ამ საქმიანობის შესაბამისი განათლება, გამოცდილება და უნარები. თითოეული თანამშრომელი იცნობს იმ უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, რომლებიც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულის დებულებითა და სამუშაო აღწერილობებით. პერსონალის შერჩევის პროცესში ყურადღება ექცევა პედაგოგიურ, პრაქტიკულ და სამეცნიერო გამოცდილებას. დოკუმენტში „ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ“ წარმოდგენილი სქემის მიხედვით, ორივე პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 63 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად სავალდებულოა დოქტორის აკადემიური ხარისხი. საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი ასევე შეიძლება აირჩეს ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე. პროფესორს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 6-წლიანი სამეცნიერო და პედაგოგიკური საქმიანობის გამოცდილება, ხოლო ასოცირებულ პროფესორს - მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება. აკადემიური

პერსონალი სრულად აფილირებულია უნივერსიტეტთან. აფილირება რეგულირდება დოკუმენტით „საქართველოს უნივერსიტეტის აფილირებული და არააფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დასაქმების წესი“. თანამშრომელთა უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულის დებულებითა და სამუშაო აღწერილობებით. მოწვეული აკადემიური პერსონალის აყვანის ინიციატივა ეკუთვნის პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე, იგი აკადემიური სემესტრის დაწყებამდე განსაზღვრავს დამატებითი მოწვეული პერსონალის საჭიროებას. პროგრამის ხელმძღვანელი შეარჩევს შესაბამის პერსონალს, აწარმოებს მათთან წინასწარ სახელშეკრულებო მოლაპარაკებებს, ათანხმებს ხელშეკრულების პირობებს და აკადემიური სემესტრის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე მიმართავს ადამიანური კაპიტალის განვითარების სამსახურს. ადამიანური კაპიტალის განვითარების სამსახური, ვებ-ტექნოლოგიების განვითარების სამსახურისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ჩართულობით, უზრუნველყოფს მოწვეული აკადემიური პერსონალის ტრენინგს. მოწვეულ პერსონალს, რომელიც დასაქმებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ენიჭება მოწვეული პროფესორის/ასოცირებული პროფესორის სტატუსი, იმ აკადემიური თანამდებობის შესაბამისად, რომელზეც იგი არჩეულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სხვა მოწვეულ პერსონალს ენიჭება მოწვეული უფროსი ლექტორის სტატუსი, თუკი იგი დოქტორის აკადემიურ ხარისხს ფლობს, ანდა მოწვეული ლექტორის სტატუსი, თუ მას დოქტორის აკადემიური ხარისხი არ აქვს.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა სრულ განაკვეთზე დასაქმებული პერსონალის შედარებითი მაჩვენებლები, აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მთლიან პერსონალთან, ლექტორების სტუდენტებთან თანაფარდობა და სხვა მონაცემები, რაც შესაბამისობაშია თანამშრომელთა რაოდენობასთან. აღსანიშნავია, რომ არსებულ პროგრამებზე დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა აღემატება ამჟამინდელი სტუდენტების რაოდენობას. პროგრამის განვითარება აკრედიტაციის შემდეგ ახალი პერსონალის მოზიდვის საჭიროებას შექმნის. პროგრამის ხელმძღვანელებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ პროგრამაში პროფესიული პერსონალის ინტეგრირების პროცესი უკვე დაწყებულია და აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა საჭიროების შესაბამისად გაიზრდება.

„გრაფიკული დიზაინის“ პროგრამას ორი ხელმძღვანელი ჰყავს. მათ ზუსტად ესმით, თუ რა განსაზღვრავს პროგრამის განვითარებასა და წარმატებას. მეთოდოლოგიური

მიგნებები წარმოადგენს პრიორიტეტს, რომელიც პროგრამას სხვა ანალოგიურ პროგრამებთან მიმართებით უნიკალურს გახდის.

მოწვეული პერსონალის იმ ნაწილს, რომელიც პრაქტიკულ სასწავლო კურსებს ახორციელებს, არ გააჩნია დოქტორის აკადემიური ხარისხი, თუმცა შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებისთვის დოქტორის ხარისხი სავალდებულო არ არის. მოწვეული პერსონალის ნაწილი თავად ამავე დაწესებულების კურსდამთავრებულია, ხოლო ნაწილი მოწვეულია მსგავსი პროგრამების განმახორციელებელი სხვა უნივერსიტეტებიდან.

„გრაფიკული დიზაინის“ პროგრამის აკადემიური პერსონალის სტრუქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს მოწვეულ პერსონალს, რომლის რაოდენობაც აკადემიურ პერსონალს აღემატება. მსგავსი განაწილება, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პროგრამაში თანამედროვე პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების ჩართულობას, რაც დადებით გავლენას ახდენს სტუდენტების პროფესიულ განვითარებასა და დარგის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ამასთანავე, მოწვეული პერსონალის სიჭარბემ შესაძლოა გარკვეული გამოწვევები შექმნას პროგრამის მდგრადობის, ინსტიტუციური მეხსიერების შენარჩუნებისა და საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობის თვალსაზრისით. აკადემიური პერსონალი, როგორც წესი, წარმოადგენს პროგრამის განვითარების, კვლევითი კომპონენტის გაძლიერებისა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მყარ საფუძველს, რის გამოც მათმა შედარებით მცირე წილმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს აღნიშნულ მიმართულებებზე. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ეტაპობრივად გაზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის წილი გრაფიკული დიზაინის პროგრამაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის მდგრადობა, ხარისხის მართვის პროცესების ეფექტურობა და ინსტიტუციური განვითარების თანმიმდევრულობა. ამასთანავე, მიზანშეწონილია მოწვეული პრაქტიკოსების ჩართულობის შენარჩუნება, რომელიც პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტზე ორიენტირებულ მნიშვნელოვანი რესურსს წარმოადგენს, თუმცა მათი ჩართულობა დაბალანსებული უნდა იყოს აკადემიურ პერსონალთან მიმართებით.

დარგობრივი პერსონალის გარდა, პროგრამაში ჩართულები არიან უნივერსიტეტის ძირითადი და არჩევითი ბლოკების ლექტორებიც, რომლებიც უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს წარმოადგენენ.

პერსონალის დატვირთვა და ანაზღაურება განსაზღვრულია დოკუმენტით „საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის რეგულაციები“, რომელშიც იკითხება: „სრულ განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტში

დასაქმებულია კვირაში 40 საათით და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო ან სხვა ტიპის საქმიანობასთან თანამდებობის შეთავსება დაუშვებელია.“

ნახევარ განაკვეთზე დასაქმებული პერსონალი უნივერსიტეტში დასაქმებულია საათობრივი დატვირთვისა და ანაზღაურების პრინციპით. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა ვრცელდება ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულ პირზეც, მისი დატვირთვის პროპორციულად. სასწავლო დატვირთვის გარდა, იგი ვალდებულია გამოყოს ყოველკვირეული საკონსულტაციო საათები და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით მონაწილეობა მიიღოს საუნივერსიტეტო ღონისძიებებში.

საქართველოს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას მხარს უჭერს დაახლოებით 250 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, მათ შორის: უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, ბიბლიოთეკა, სკოლა (პროგრამის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური კაპიტალის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, სტუდენტურ საქმეთა ცენტრი, იურიდიული სამსახური, IT ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური და სხვა სტრუქტურული ერთეულები, სადაც შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლები საქმიანობენ. ზემოაღნიშნული პერსონალის უმრავლესობა, უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების პოლიტიკის შესაბამისად, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. სხვა პროგრამების სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტს ჰყავს მაღალკვალიფიციური ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური და მოწვეული ადამიანური რესურსები და ყველა მიმართულებით გათვალისწინებულია სტუდენტთა საჭიროებები.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 პროგრამა 1 ( გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი)

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 40 აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალი.

„გრაფიკული დიზაინის“ პროგრამის აკადემიური პერსონალის სტრუქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს მოწვეულ პერსონალს, რომლის რაოდენობაც სრულ განაკვეთზე დასაქმებულ აკადემიურ პერსონალს აღემატება. მსგავსი განაწილება, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პროგრამაში თანამედროვე პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების ჩართულობას, რაც დადებით გავლენას ახდენს სტუდენტების პროფესიულ განვითარებასა და დარგის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ამასთანავე, მოწვეული პერსონალის სიჭარბემ შესაძლოა გარკვეული გამოწვევები შექმნას პროგრამის მდგრადობის, ინსტიტუციური მეხსიერების შენარჩუნებისა და საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობის თვალსაზრისით. სრულ განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალი, როგორც წესი, წარმოადგენს პროგრამის განვითარების, კვლევითი კომპონენტის გაძლიერებისა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მყარ საფუძველს, რის გამოც მათი შედარებით მცირე წილი შესაძლოა გავლენას ახდენდეს ზემოაღნიშნულ მიმართულებებზე. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ეტაპობრივად გაზარდოს აკადემიური პერსონალის წილი გრაფიკული დიზაინის პროგრამაში, რითაც ხელს შეუწყობს პროგრამის მდგრადობას, ხარისხის მართვის პროცესების ეფექტურობასა და ინსტიტუციური განვითარების თანმიმდევრულობას. ამასთანავე, მიზანშეწონილია მოწვეული პრაქტიკოსების ჩართულობის შენარჩუნება, რომელიც პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტზე ორიენტირებულ მნიშვნელოვანი რესურსს წარმოადგენს, თუმცა მათი ჩართულობა დაბალანსებული უნდა იყოს აკადემიურ პერსონალთან მიმართებით.

| <b>პროგრამა 1 გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი)</b>                               |                                                |                                                    |                                                                             |                                                   |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------|----------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------|
| <b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)</b> | <b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა</b> | <b>მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი</b> | <b>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი</b> | <b>მათ შორის, აფილირებულ აკადემიური პერსონალი</b> |
| <b>სულ აკადემიური პერსონალი</b>                                                                         | <b>18</b>                                      | <b>5</b>                                           | <b>4</b>                                                                    | <b>18</b>                                         |

|                         |    |    |   |   |
|-------------------------|----|----|---|---|
| - პროფესორი             | 9  | 2  | 2 | 9 |
| - ასოცირებული პროფესორი | 8  | 2  | 2 | 8 |
| - ასისტენტ-პროფესორი    | 0  | 0  | 0 | 0 |
| - ასისტენტი             | 1  | 1  | 0 | 1 |
| მოწვეული პერსონალი      | 22 | 15 | 3 | 0 |
| სამეცნიერო პერსონალი    | 18 | 5  | 4 | 0 |

#### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

პროგრამას ახორციელებს 23 აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალი.

„გრაფიკული დიზაინის“ პროგრამის აკადემიური პერსონალის სტრუქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს მოწვეულ პერსონალს, რომლის რაოდენობაც სრულ განაკვეთზე დასაქმებულ აკადემიურ პერსონალს აღემატება. მსგავსი განაწილება, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პროგრამაში თანამედროვე პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების ჩართულობას, რაც დადებით გავლენას ახდენს სტუდენტების პროფესიულ განვითარებასა და დარგის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ამასთანავე, მოწვეული პერსონალის სიჭარბემ შესაძლოა გარკვეული გამოწვევები შექმნას პროგრამის მდგრადობის, ინსტიტუციური მეხსიერების შენარჩუნებისა და საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობის თვალსაზრისით. სრულ განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალი, როგორც წესი, წარმოადგენს პროგრამის განვითარების, კვლევითი კომპონენტის გაძლიერებისა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მყარ საფუძველს, რის გამოც მათი შედარებით მცირე წილი შესაძლოა გავლენას ახდენდეს ზემოაღნიშნულ მიმართულებებზე. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ეტაპობრივად გაზარდოს აკადემიური პერსონალის წილი გრაფიკული დიზაინის პროგრამაში, რითაც ხელს შეუწყობს პროგრამის მდგრადობას, ხარისხის მართვის პროცესების ეფექტურობასა და ინსტიტუციური განვითარების თანმიმდევრულობას. ამასთანავე, მიზანშეწონილია

მოწვეული პრაქტიკოსების ჩართულობის შენარჩუნება, რომელიც პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტზე ორიენტირებულ მნიშვნელოვანი რესურსს წარმოადგენს, თუმცა მათი ჩართულობა დაბალანსებული უნდა იყოს აკადემიურ პერსონალთან მიმართებით.

თვითშეფასების ანგარიშისა და ვიზიტის შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროფესორთა გუნდს აქვს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო საგანმანათლებლო და ინდუსტრიულ გარემოში მუშაობის გამოცდილება, რაც ინგლისურენოვან პროგრამას გლობალურ რელევანტურობას სძენს. აკადემიური გუნდის გამოცდილება და ინგლისურენოვან გარემოში ეფექტურად მუშაობის უნარი მყარ პლატფორმას ქმნის სტუდენტებისათვის.

| <b>პროგრამა 2 გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ENG)</b>                                         |                                                |                                                    |                                                                                    |                                                   |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------|----------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------|
| <b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)</b> | <b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა</b> | <b>მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი</b> | <b>მოიცავს დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს <sup>16</sup></b> | <b>მათ შორის, აფილირებულ აკადემიური პერსონალი</b> |
| <b>სულ აკადემიური პერსონალი</b>                                                                         | <b>5</b>                                       | <b>3</b>                                           | <b>2</b>                                                                           | <b>5</b>                                          |
| - პროფესორი                                                                                             | 0                                              | 0                                                  | -                                                                                  | 0                                                 |
| - ასოცირებული პროფესორი                                                                                 | 4                                              | 2                                                  | 2                                                                                  | 4                                                 |
| - ასისტენტ-პროფესორი                                                                                    | 0                                              | 0                                                  | 0                                                                                  | 0                                                 |
| - ასისტენტი                                                                                             | 1                                              | 1                                                  | 0                                                                                  | 1                                                 |
| <b>მოწვეული პერსონალი</b>                                                                               | <b>18</b>                                      | <b>14</b>                                          | <b>3</b>                                                                           | <b>0</b>                                          |
| <b>სამეცნიერო პერსონალი</b>                                                                             | <b>4</b>                                       | <b>3</b>                                           | <b>2</b>                                                                           | <b>0</b>                                          |

<sup>16</sup> შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- თვითშეფასების ანგარიშის ინდივიდუალური და რაოდენობრივი მაჩვენებლები. დანართი 1 (Excel)
- საქართველოს უნივერსიტეტის საკადრო დებულება/რეგლამენტი.
- პროგრამის დირექტორის სამუშაოს აღწერა. ბრძანება (N574/17, 20.10.2017)
- პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება.
- პერსონალის სია და სასწავლო კურსები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვა (Excel)
- ქართული და ინგლისური ენის საგანმანათლებლო პროგრამები
- პერსონალის რეზიუმეები/CV-ები და საგანმანათლებლო დოკუმენტები

| რეკომენდაციები და რჩევები<br>პროგრამების მიხედვით:   | <u>რეკომენდაცი(ებ)ი</u> : | <u>რჩევ(ებ)ი</u> :                                                                                                                                                                                                       |
|------------------------------------------------------|---------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები            |                           | სასურველია მოწვეული პერსონალის სისტემური და აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის დაგეგმვისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, სწავლების ერთიანი სტანდარტისა და პროგრამის თანმიმდევრული განვითარების მისაღწევად. |
| პროგრამა 1<br>გრაფიკული<br>დიზაინი,<br>ქართულენოვანი |                           |                                                                                                                                                                                                                          |

|                                                        |  |  |
|--------------------------------------------------------|--|--|
| პროგრამა 2<br>გრაფიკული<br>დიზაინი,<br>ინგლისურენოვანი |  |  |
|--------------------------------------------------------|--|--|

## შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი <a href="#">4.1 ადამიანური რესურსები</a> | შეფასება                 |
|-----------------------------------------------------|--------------------------|
| პროგრამა 1 გრაფიკული დიზაინი, ქართულენოვანი         | შესაბამისობაშია          |
| პროგრამა 2 გრაფიკული დიზაინი, ინგლისურენოვანი       | მეტწილად შესაბამისობაშია |

## 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ-ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქვს შესაბამისი სფეროში აკადემიური ხარისხი, აქვს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება, ან გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა), ასევე აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც

შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;

- სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, დოქტორანტის ხელმძღვანელს ბოლო 3 წლის განმავლობაში უსდ-ს მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- დოქტორანტის ხელმძღვანელი, ასევე რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთი ხელმძღვანელი, წარმოადგენს დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხის მქონე უსდ-ს აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) ან/და სამეცნიერო პერსონალს. აკადემიური თანამდებობის დაკავების ნაწილში არსებული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე;
- დოქტორანტის ხელმძღვანელს აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/სახელოვნებო საზოგადოებასთან პროფესიული კავშირი (ერთობლივი კვლევები/გრანტები/პროექტები, სამეცნიერო ასოციაციები/კავშირები/ საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულებები);
- თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემატიკას/კვლევის სფეროს;
- უსდ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისთვის პერიოდულად უზრუნველყოფს იმგვარი ღონისძიებების (ტრენინგი, სემინარი, სამუშაო შეხვედრა და სხვა) განხორციელებას, რომელიც ხელს უწყობს ხელმძღვანელობის ეფექტურ განხორციელებას;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტების ხელმძღვანელების წახალისების მექანიზმები.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

#### 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

